# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 13 მაისი. 2016 წ. №87 (7979), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## მოვიდა სეტყვა... არ დახვდა დანადგარი!





7

## „შევთხოვოთ ანდრია პირველწოდებულს, მოგვანიჭოს უფალმა მშვიდობა და კეთილდღეობა“



გუშინ ანდრია პირველწოდებულის სახელობის ლურჯ მონასტერში წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ უწმინდესმა მრევლს ქადაგებით მიმართა.

**„ჩვენთვის წმინდა მოციქულს ანდრია პირველწოდებულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სულიერ ცხოვრებაში. ის არის ჩვენი განმამტკიცებელი და ღვთის განგებით წარმოგზავნილი საქართველოში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კურთხევითა და მეოხებით. ანდრია პირველწოდებულმა მოიტანა საქართველოში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი და იყო პირველი მქადაგებელი. ის იყო ძმა პეტრე მოციქულისა. ანდრია პირველწოდებული გამორჩეულია ჩვენთვის მოციქულთა შორის. განსაკუთრებული პატივისცემა იყო საქართველოში ძველ დროს, შვიდჯერ იყო დღესასწაული ანდრია პირველწოდებულისა. შევთხოვთ უფალს, რომ წმინდა მოციქულ ანდრიას ლოცვითა და მეოხებით განამტკიცოს ჩვენი ხალხი, მთელი მსოფლიო და მართლმადიდებლური სამყარო, ჭეშმარიტი სარწმუნოება“,** — აღნიშნა უწმინდესმა.

## ლევან ბერძენიშვილი: როგორი პრეზიდენტიც მარგველაშვილია, ისეთი თანაშემწეა აბაშიძეშვილიც

2

## ხალხის საყვარელი კომპოზიტორი



**ორჯერ 40 წლის ვაჟა აზარაშვილი**

5




3

## ქართველი სამხედროები ნატოს შეიარაღებული ძალების ღირსეული წარმომადგენლები არიან!

## ვმრავლდებით თუ ვმცირდებით?



6

## ჩვენი ყოფნა-არყოფნის სარკე

## გვიღირს 3 მილიონით მეტის დახარჯვა?!

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპიკერის ანა მიქელაძის ინფორმაციით, საარჩევნო პერიოდის 8 ივნისს დაწყება ბიუჯეტს დაახლოებით 3 მილიონი ლარით მეტი დაუჯდება, ვიდრე ეს არჩევნებამდე 60 დღით ადრე დაწყების შემთხვევაში მოხდებოდა.** მისი თქმით, ამ თანხაში შედის ცესკო-ს აპარატის თანამშრომლების, საოლქო-საარჩევნო კომისიების, ასევე დამატებითი წევრების სახელფასო ანაზღაურება, გარდა ამისა, დამატებითი — ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციების ხარჯები.

**„კანონმდებლობის მიხედვით, საოლქო- საარჩევნო კომისიის ხუთი წევრი მუდმივმოქმედია, არჩევნების გამოცხადებიდან შვიდი დღის ვადაში ოლქის წევრის პროფესიული ნიშნით არჩევა ხდება, გარდა ამისა, პოლიტიკური პარტიები თავიანთ წარმომადგენლებს ნიშნავენ. საქართველოში დაახლოებით 3 700 საარჩევნო უბანია, აქ დასაქმებულია კომისიის 13 წევრი. უხეშად რომ გადავითვალოთ, დაახლოებით 46 000 თანამშრომელი გამოდის. ამ ადამიანების ხელფასზეა საუბარი. უბნები არჩევნებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე იწყებენ მუშაობას“,** — თქვა მიქელაძემ.

**◉ უმადურობა, თანაც ასეთი?!**

## ვინ ჩქმალავს, ვის აღიზიანებს ნოდარ ახალკაცის სახელი?



10

**თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს**

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

## ანტიკორუფციული სამიტი ლონდონში



**მსოფლიო ლიდერები ანტიკორუფციულ პოლიტიკასა და კორუფციის აღმოფხვრის მექანიზმებზე მსჯელობენ — ლონდონში 2016 წლის ანტიკორუფციული სამიტი გაიხსნა, რომელსაც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ ქემერონი მასპინძლობს.**

სამიტში საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი 40 ქვეყნის ლიდერთან ერთად მონაწილეობს, რომელთა შორის იმყოფებიან ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ერნა სოლბერგი, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი ბოიკო ბორისოვი, მალტის პრემიერ-მინისტრი ჯოზეფ მუსკატი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი და სხვები.

სამიტის ერთ-ერთი თემატური პანელის მონაწილეებს საქართველოს მთავრობის მეთაურმა სიტყვით მიმართა. სამიტზე იმყოფება საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი.

სამიტში მონაწილე ქვეყნები ერთობლივ დეკლარაციას მიიღებენ.

## ფაქტია, რომ ნაციონალური მოძრაობა ქვეყნის გარედან იმართება!!!

**— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ლონდონში, ქართველ ჟურნალისტებთან არაფორმალურ მმართველობაზე საუბრისას განაცხადა.**

„არაფორმალურ მმართველობას რას ვეძახით, არ ვიცი. თუ ჩვენ ამას ვეძახით იმას, რომ ზოგიერთი პარტია სხვა ქვეყნებიდან იმართება საქართველოში, შეიძლება, რომ დავეთანხმო. სხვა მხრივ, საქართველოს მთავრობა აბსოლუტურად ყველა გადაწყვეტილებას დამოუკიდებელ რეჟიმში იღებს და ამ შეკითხვის და არც ამ ბრალდების ადრესატი „ქართული ოცნება" ნამდვილად არ არის", — განაცხადა კვირიკაშვილმა და დასძინა რომ ქვეყნის გარედან კონკრეტულად, ნაციონალური მოძრაობა იმართება.

## განახლებული გუნდის ახალ სახეებს „ქართული ოცნება" უახლოეს მომავალში წარადგენს

**„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" ახალი წევრების შერჩევა საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში გაიმართა და მათ უახლოეს მომავალში წარადგენენ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ლონდონში ქართველ ჟურნალისტებთან განაცხადა.**

„ეს გუნდი მთლიანად იქნა შერჩეული პარტიის ლიდერების მხრიდან და ეს არის ძალიან გამჭვირვალე პროცესი. საერთაშორისო პრაქტიკასთან აბსოლუტურ შესაბამისობაში გაიმართა წინა შესარჩევი პროცესი, იყო გასაუბრებათა მთელი სერია და ამის შედეგად იქნა შერჩეული ძალიან დიდი რაოდენობა ახალგაზრდებისა", — განაცხადა პრემიერმა და დასძინა, რომ პარტიაში გუნდის ძველი სახეებიც დარჩებიან.

მისივე თქმით, ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს „ქართული ოცნების" მომავალი გუნდის დაკომპლექტებაში ამ წუთამდე მონაწილეობა არ მიუღია.

## კიდევ უფრო ავწევთ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს

**მომავალი წლიდან დაგეგმილი გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებიც თვისობრივად შეცვლის საქართველოს საინვესტიციო გარემოს და ვფიქრობთ, შედეგად მივიღებთ ეკონომიკური ზრდის ძალიან მნიშვნელოვან დაჩქარებას, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად აისახება სამუშაო ადგილების ზრდაზე, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გაზრდას.**

პრემიერის შეფასებით, ძალიან კარგია, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 3%-მდე ეკონომიკურ ზრდის პროგნოზი გადააფასა და 3,4%-მდე ასწია.



„მე ვიტყოდი, რომ შეიძლება, უფრო მეტიც იყოს ზრდა წლის ბოლომდე, რადგან ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებებს ვახორციელებთ, როგორც ოთხპუნქტიანი რეფორმის ფარგლებში, ასევე მთლიანად ვცვლით ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების და სხვა პროექტების მენეჯმენტის სტრატეგიას. ვფიქრობთ, როგორც აღსრულების მექანიზმების დახვეწის კუთხით, ისე საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს იმიჯის გაუმჯობესების მიმართულებით ჩვენს მიერ გაწეული ძალისხმევის შედეგად და იმ სტაბილურობით, რომლითაც საქართველო გამოირჩევა, განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, ვფიქრობ, შევძლებთ, კიდევ უფრო ავწიოთ ზრდის მაჩვენებელი", — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

## პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტის მორიგ ვეტოს პროგნოზირებს



**პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, მოსალოდნელია, რომ პრეზიდენტი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონში დაგეგმილ ცვლილებებს ვეტოს დაადებს.** პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ პროექტის პირვანდელ ვარიანტში მნიშვნელოვანი შენიშვნებია გათვალისწინებული, თუმცა იცნობს პრეზიდენტის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოზიციას. „დიდი ალბათობით მოსალოდნელია ვეტო", — განაცხადა უსუფაშვილმა.

## ლევან ბერძენიშვილი:
## როგორი პრეზიდენტიც მარგველაშვილია, ისეთი თანაშემწეა აბაშიშვილიც



**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ლევან ბერძენიშვილის შეფასებით, გიორგი მარგველაშვილი უმადურია, რადგან ვერ დაინახა, რა გააკეთა პრეზიდენტის ინსტიტუტის გადასარჩენად დავით უსუფაშვილმა. ამის შესახებ ბერძენიშვილმა გიორგი აბაშიშვილის განცხადების შეფასებისას განაცხადა, რომლის თანახმადაც, რესპუბლიკელები ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ პრეზიდენტის ინსტიტუტს და ვეტოების დაძლევაში აქტიურად მონაწილეობდნენ.**

„პრეზიდენტი, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს აგინებს, ის პრეზიდენტი არ არის.

აბაშიშვილი იმხელა ფიგურა არ არის, რომ მას სერიოზული პასუხი გავცე. თუმცა, რადგან მას უთქვამს, რომ რესპუბლიკელებს რაღაც ახასიათებს, ეტყობა იცის, იმიტომ, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკელების ინსტიტუტის ხელმძღვანელი იყო. ეს განცხადებები სერიოზული არ არის. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიას აგინებს და ვისი პრეზიდენტია, აღარ ვიცი. მან უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მას გავაკრიტიკებთ. ვეტოსაც დავძლევთ, მაგრამ მან ჩვენთან უნდა ითანამშრომლოს. მას ყველაფერი უნდა დაენახა, თუ რა გააკეთა მისი ინსტიტუტის გადასარჩენად დათო უსუფაშვილმა. მაგრამ არ დაინახა, ჩვენ დაგვრჩა აზრი, რომ უმადურია. ეს იმიტომ მოხდა, რომ ის პოლიტიკაში არავინ იყო და ერთ დღეში პრეზიდენტი გახდა. ეს ექსპერიმენტი გამართლებული და სწორი არ იყო და თუ აბაშიშვილს ჰგონია, რომ რაღაც თანამდებობაზეა და ამიტომ ბრძნულს იტყვის, დიდი ბოდიში. მისი დონე მის განცხადებებს არ შეესაბამება. პრეზიდენტმა პარტიებისა და ხალხის პატივისცემა უნდა ისწავლოს. მარტო ხუხაშვილის, აბაშიშვილის და ჩიხრაძის სიყვარული არ არის პრეზიდენტობა. ის თავისი კომპეტენციის ზღვარს მიღმაა და პროცესებს ვერ მართავს, საკუთარ უფლებებს არ იცნობს და უკვირს, ვიღაცამ ვეტო რომ დაუძლია. როგორი პრეზიდენტიც მარგველაშვილია, ისეთი თანაშემწეა აბაშიშვილიც. ჩვენ 38 წლის პარტია ვართ, აბაშიშვილი კი ერთი წლის პოლიტიკოსიც არ არის. გაიზრდება და რაღაცას ისწავლის, თუმცა, მეეჭვება", — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

## თამაზ მეჭიაური: მსოფლიო პირველი ბანი პოლიტიკაში სააკაშვილის ბანობას აპირებს



**პაატა ბურჭულაძის მიერ გაკეთებული განცხადების შეფასებისას, პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით, თამაზ მეჭიაურმა განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების რეჟიმის დროს მას ხმა არ ამოუღია. დეპუტატი აქვე განმარტავს, რომ ვოკალურ მონაცემებს არ გულისხმობს.**

„ყველას აქვს უფლება, იყოს პოლიტიკაში, მათ შორის ბურჭულაძეს, თუმცა მიმაჩნია, რომ ის მაინც „ნაციონალური მოძრაობის" სატელიტი უფროა, ვიდრე დამოუკიდებელი მოთამაშე. ნაწილობრივ ხელისუფლების მომხრეების ხმებსაც მიიღებს, რადგან ბევრს უჭირს იმის გარკვევა, თუ ვის თამაშს თამაშობს", — განაცხადა მეჭიაურმა.

## მურუსიძე თუ დოლიძე? — საკითხავი აი, ეს არის



**პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. აბაშიშვილის განცხადებით, პარლამენტს მოუწევს არჩევანი ლევან მურუსიძესა და ანა დოლიძეს შორის გააკეთოს.**

„არ მაქვს იმედი, რომ „ნაციონალური მოძრაობა" დათმობს მურუსიძეს და მხარს დაუჭერს დოლიძეს, თუმცა, ვფიქრობ, რომ პარლამენტის თითოეულ წევრს აქვს შესაძლებლობა, მურუსიძის მართვის სტილი სასამართლოში შეცვალოს. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ სერიოზული პრობლემები შეექმნება უზენაესი სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას, თუ დამატებით არ იქნება გამწესებული სამი მოსამართლე, ამიტომ რისკის ქვეშ ნუ დავაყენებთ უზენაეს სასამართლოს", — განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

## ჩიორამ კომიტეტის სხდომა ჩაშალა



**გუშინ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომა დეპუტატების — ეკა ბესელიასა და ჩიორა თაქთაქიშვილის დაპირისპირების გამო ჩაიშალა. ჩიორა თაქთაქიშვილმა სხდომაზე, რომელზეც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშს განიხილავდნენ, სასამართლო რეფორმა გააკრიტიკა.**

სხდომის წამყვანმა ეკა ბესელიამ ჩიორა თაქთაქიშვილს რეგლამენტის დაცვა, შესაბამის სამსახურს კი მიკროფონის გამორთვა მოსთხოვა, თუმცა, თაქთაქიშვილი მას არ დაემორჩილა, რის შემდეგაც ბესელიამ მოუწოდა, სხდომათა დარბაზი დაეტოვებინა. თაქთაქიშვილი ბესელიას არც ამ მოთხოვნას დაემორჩილა, რის გამოც ბესელიამ სხდომის დასრულება გადაწყვიტა.

უზრდელი პარლამენტარის, ანცი ჩიორას მოქმედებით სხდომა ჩაიშალა.

# ქართველი სამხედროები ნატოს შეიარაღებული ძალების ღირსეული წარმომადგენლები არიან!



**ქართულ-ამერიკული სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2016“, რომელმაც რუსეთის შეშფოთება გამოიწვია, ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჩვენებელი ორკესტრის მიერ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნების შესრულებით გაიხსნა.**

წვრთნებში მონაწილეობენ ამერიკული M1A2 ტიპის ტანკები „ABRAMS“ და ქვეითთა საბრძოლო მანქანები „M2 BRADLEY“, ასევე ქართულ შეიარაღებაში არსებული T-72 ტიპის ტანკები და ქვეითთა საბრძოლო მანქანები БМП-2. სწავლებაში აშშ-ის არმიის ევროპული სარდლობის 650, ასევე 500 ქართველი და 150 ბრიტანელი სამხედრო მონაწილეობს.

**— ქართულ-ამერიკული სწავლების დასრულების შემდეგ საქართველოს ეყოლება ნატოს მიერ ლიცენზირებული პირველი ასეული, რომელიც სწორედ ამ სწავლების შემდეგ მიიღებს ლიცენზიას და პირველად საქართველოში, ჩვენ ოფიციალურად გვეყოლება ნატო-ს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ჩვენი სამხედროების სახით“,** — ამბობს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი.

წვრთნების მნიშვნელობასა და საკითხის სხვა დეტალებზე „აქცენტთან“ თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა **გიორგი თავდგირიძემ** ისაუბრა.

— ეს არის სწრაფი რეაგირების ძალების ბატალიონი. ერთი ასეული არის სწრაფი რეაგირების შემადგენლობაში. მან წარმატებით გაიარა შეფასება თავისი უნარ-ჩვევებით, აღჭურვილობით და მიიღო დასკვნა, რომ ეს ასეული მომზადებულია იმისთვის, რომ იყოს ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების ლიცენზირებული ქვედანაყოფი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ერთგვარი დემონსტრირება: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ნატოს წევრი, ჩვენ ალიანსის ყველა მნიშვნელოვან პროგრამაში ვიღებთ მონაწილეობას. ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. სხვადასხვა ქვეყნის ქვედანაყოფები ერთიანდებიან ამ შენაერთში და, შესაბამისად, მათი სტანდარტი ძალიან მაღალია: მათი თავსებადობა, ოფიცრების უნარ-ჩვევები საკმაოდ მაღალია. ნატოს მნიშვნელოვან სამხედრო პროექტში ჩვენ უშუალოდ ვიღებთ მონაწილეობას ყოველგვარი ბარიერების გარეშე. ეს ყველაფერი ემსახურება იმის დემონტრირებას, რომ ჩვენ ვართ ამ სივრცის ორგანული ნაწილი და ამ ტიპის პროექტებში მონაწილეობით იქმნება საქართველოს, როგორც ევროპული, დასავლური ღირებულებებისა და შესაბამისი სამხედრო კომპონენტის მქონე ქვეყნის იმიჯი.

ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი **ირაკლი ალადაშვილი:**

— ეს ნიშნავს, რომ ნატოს რეაგირების ძალები თუ რაიმე ოპერაციას დააპირებს, ქართული ასეული მზად იქნება. საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ გადაისროლონ სხვადასხვა მიმართულებით. ნატოს საბრძოლო მოქმედებები იქნება თუ სამშვიდობო მისიები, ეს ასეულიც ისევე მიიღებს მონაწილეობას, როგორც ნატოს წევრი ქვეყნების სხვა დანაყოფები. დანაყოფი, რომელიც ნატოსთან ერთად იმოქმედებს, ნიშნავს, რომ ის იქნება მსოფლიოს თანამედროვე ტაქტიკასთან, შეიარაღებასთან და ა.შ. უფრო ახლოს, ანუ მას ექნება იგივე შეიარაღება, ეცოდინება ტაქტიკა, ოპერაციების დაგეგმვა—განხორციელება, როგორც ნატოს წევრი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს“.

საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის ყოფილი მრჩეველი, ბრიგადის გენერალი **ამირან სალუქვაძე** კი მიიჩნევს, რომ თითოეული მსგავსი სწავლება საერთო შედეგისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა ზედმეტი აჟიტირება არაა სასურველი.

„თითოეული მსგავსი ღონისძიება — იქნება ის ტაქტიკური თუ სხვა ფორმის საშტაბო სწავლებები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ჩვენი შეიარაღებული ძალებისთვის და რაც უფრო გაიზრდება სწავლებების ინტენსივობა, მით მეტად ეფექტიანი ჯარი გვეყოლება.

რაც შეეხება კონკრეტულად დღევანდელ სწავლებას, სწორად აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა და აქ არაფერია ისეთი, რის გამოც შეიძლება ჩვენი მეზობელი ქვეყნები შეწუხდნენ: ყველამ იცის, რომ საქართველო წლების განმავლობაში მონაწილეობს საერთაშორისო მისიებში, მათ შორის — ნატოს ფორმატში. ჩვენთან ჩამოყალიბდა ასეული, რომლის წვრთნაც დიდი ხანია, მიმდინარეობს და ახლა მოხდება მისი სერტიფიცირება.

კარგი იქნებოდა, ეს ინფორმაცია წინმსწრებად ყოფილიყო გავრცელებული. არ იყო საჭირო ზედმეტი ბაქიბუქი, განსაკუთრებით — სოციალურ ქსელებში, რომ საქართველოში ABRAMS-ები შემოდიან და ა.შ. ამ ზედმეტ ხმაურს შედეგი არ მოაქვს, მხოლოდ დაძაბულობის ზრდას იწვევს“, — ამბობს „აქცენტთან“ საუბრისას ბრიგადის გენერალი.

მისივე თქმით, ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან დაფიქსირებული გაღიზიანება უსაფუძვლოა.

„არ მინდა, ჩემი განცხადება იყოს აღქმული, თითქოს ვინმეს გაღიზიანებას ვერიდებოდე, თუმცა მიზანშეწონილი ნამდვილად არ არის, ზედმეტი დაძაბულობები შევიტანოთ ურთიერთობებში. უმჯობესია, მშვიდად ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

უნდა გვესმოდეს, რომ როგორც ჩვენ აღვიქვამთ ყოველთვის გამოწვევად საქართველოს საზღვრებთან მიმდინარე წვრთნებს (გახსოვთ „კავკასია 2008“, მანამდეც და შემდგომშიც ჩატარებული მსგავსი მანევრები), რომელიც შესაძლოა, საფრთხეში გადაიზარდოს, ანალოგიურად აღიქვამს რუსეთის ფედერაციაც მის მეზობლად მიმდინარე წვრთნებს და მისთვის ეს ძალიან გამაღიზიანებელია.

მიმაჩნია, რომ წვრთნების დაგეგმვის პერიოდიდან დაწყებული, მათი მიმდინარეობის დროს და დასრულების შემდეგაც, პროცესებს უნდა ჰქონდეს სერიოზული საინფორმაციო მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან. მნიშვნელოვანია სწორი განმარტებები და, რა თქმა უნდა, დიპლომატიური ხაზით მუშაობაც.

რეალურად, სამხედრო თვალსაზრისით, თითო ასეულის სწავლება რუსეთისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, ჩვენ ამ სწავლებებით ვერც ვერავის შევაშინებთ, მაგრამ ეს გავლენას ახდენს ორმხრივ ურთიერთობებზე, რომელიც შემდგომში (თუ გავითვალისწინებთ, როგორ მოქმედებს რუსეთის სახელმწიფო მანქანა), ჩვენთვის არასასურველ გეგმებსა და პოლიტიკაში გადაიზრდება ხოლმე. ამიტომ ამ თემის ზედმეტ აჟიტირებას არ მოვახდენდი.

**დიანა მუსელიანი**

## ბიზნესგარემო

# სამამულო მეწარმეობა: ახალი წრის დასაწყისი

**ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნაზე ლაპარაკი წლების მანძილზე გაისმის, გარკვეულ პერიოდებში ამ მიმართულებით რაღაც ნაბიჯებიც იდგმებოდა, მაგრამ, არსებითად, ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, გატარებულ ღონისძიებათა არასაკმარისი ეფექტიანობა იყო. ახლო მომავალში, კი, როგორც მთავრობაში აცხადებენ ვითარება საგრძნობლად შეიცვლება, ვინაიდან 2016-2020 წლებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის შესახებ კანონპროექტი უკვე შემუშავებულია.**

მასში ასახული ახალი მიდგომა სამი სტრატეგიული მიზნის შესრულებას გულისხმობს: **2020 წლისთვის ქვეყნის მცირე და საშუალო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ყოველწლიურად 10 პროცენტით მატებას, ასევე ამავე ვადისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ოდენობის 15-პროცენტიან, ხოლო მწარმოებლობის ყოველწლიურად 7-პროცენტიან ზრდას.**

ამასთან, ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, საკითხისადმი ახალი მიდგომის სტრატეგია მარტო საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას, არამედ კიდევ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერებას, საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლებს შორის დიალოგის გამართვას გულისხმობს.

ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ მცირე და საშუალო მეწარმეთა გასაჭირი და წარმოქმნილი პრობლემები მთავრობისთვის, უწინარეს, ალბათ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ასევე ფინანსთა სამინისტროების შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელობისთვის უნდა ხდებოდეს ცნობილი და სათანადო ზომებიც უმოკლეს დროში უნდა მიიღებოდეს.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წამოწყება უმთავრესი ხელისშემშლელი პირობა იაფიან ფინანსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა იყო და ეს ამჟამადაც ასეა. ამიტომაც საგანგებოდ იმასაც აღნიშნავენ, რომ საჭიროა ამ ხარვეზის გამოსწორება და იმის კარგად გაცნობიერება, რომ კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, დაფინანსების სხვა წყაროებიც არსებობს. ლაპარაკობენ ასევე ქალთა მეწარმეობის წახალისების აუცილებლობაზე, დასაქმებისა და შრომითი კადრების გადამზადების პროგრამების განვითარებაზე, რომლებიც ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი იქნება. ამას ემატება საექსპორტო პროდუქციის გამოშვების ხელშეწყობა, ასევე მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზება. ასევე აუცილებელია ინოვაციური პროექტების ავტორთა, გამომგონებელთა წახალისება საკუთარ მიღწევათა კომერციალიზების მიზნით.



ასეთია, ზოგადად, ახალი კანონპროექტის სქემატური მოხაზულობა, მაგრამ იმის თქმა, თუ რამდენად დიდი ზეგავლენა ექნება მას ამჟამად არსებულ ვითარებაზე, როგორი იქნება მის ამოქმედებას მოყოლილი დადებითი ეკონომიკური, შრომითი, სოციალური თუ გენდერული ეფექტი, მისი ერთგვარი ბუნდოვანებისა და ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, ძნელი განსაჭვრეტია. ამასთან, ექსპერტების ერთი ნაწილი წლების განმავლობაში ხაზგასმით აცხადებს, რომ ბიზნესი „ზომებად“, ანუ მცირედ, საშუალოდ და დიდად დაყოფა მართებული არ არის. ამდენად, მარტო მცირე და საშუალო წარმოებებისთვის, ანდა იგივე ქალთა ბიზნესისთვის რაიმე განსაკუთრებული, „სასათბურე“ პირობების შექმნა არანაირად არ გამოვა, რადგან ამის პრაქტიკულად განხორციელება შეუძლებელია თუნდაც იმ მოტივით, რომ თუ მეწარმეთა გარკვეულ კატეგორიებს საგრძნობი შეღავათები მიეცემა და მეტი ხელშეწყობა ექნება სახელმწიფოს მხრიდან, ის მაშინვე უარყოფითად აისახება კონკრეტულ გარემოზე და არაკეთილსინდისიერი მეწარმეებისთვის „გასაძრომ ხვრელებს“ დატოვებს. ამდენად, საქმისთვის უკეთესი იქნება, მეტი ყურადღება თავად ბიზნესის წამოწყებათა პროფესიული ცოდნის ამაღლებასა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებაზე გაკეთდეს, რაც, უწინარესად, მონეტარულ და საგადასახადო პოლიტიკაში, გარე ნეგატიური ფაქტორების მოქმედების შერბილებისთვის ბრძოლასა და მთელ რიგ სხვა ნაბიჯებში გამოიხატება.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ბიზნესის „ზომებად“ დაყოფას მაინც ვერანაირად ვერ ავცდებით, რადგან განვითარებულ ქვეყანაში მცირე ბიზნესის წილად წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ორ მესამედამდე სწორედ მის წილად მოდის. ჩვენში სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების უდიდესი დამმუხრუჭებელი ფაქტორია იაფიან ფინანსურ რესურსებზე ნაკლებად წვდომა, რასაც ის გარემოებაც ამძაფრებს, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ფულადი დანაზოგი საერთოდ არ გააჩნია. ამდენად, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად სახელმწიფომ მეწარმეებზე შეღავათიანი კრედიტები უნდა გასცეს და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება გააკონტროლოს, ასევე ყურადღება მიაქციოს იმას, რომ კომერციულმა ბანკებმა სრულად შეასრულონ არაპროფილური აქტივების ფლობის აკრძალვა, რაც, სამწუხაროდ, დიდი ხარვეზებით მიმდინარეობს და ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას.

**ოთარ ტურაბელიძე**

# რუსთავიც იქცა დუქნადა!..



**საქართველოს ნებისმიერ ქალაქში გაივლი თუ არა, გენიალური ვაჟას სტრიქონი — „ქვეყანა იქცა დუქნადა“, არ შეიძლება არ წამოგიფრინდეს.**

**მარტო დუქანი რომ იყოს...**

ამას წინათ ვწერდით, რუსთავის ერთადერთი კინოთეატრის უნიკალური შენობა-ნაგებობა ვიღაც უცხოელმა შეისყიდა და კაზინოდ გადააკეთა.

არადა, იქვე რამდენიმე მეტრში კიდევ ოთხი თუ ხუთი ტოტალიზატორი, კაზინო და ახალგაზრდობის ტვინისა და გონების წამლეკი სხვა დაწესებულებებია.

იქვე, მეგობრობის პროსპექტის ამ მონაკვეთზე, ათობით სხვადასხვა სავაჭრო მაღაზია, უნივერმაღი, თვით ქუჩაც სავაჭრო ცენტრადაა ქცეული.

ახლახან იქვე, ყოფილი კინოთეატრის გვერდით კიდევ ერთი სამსართულიანი შენობის საძირკველი გაითხარა.

რუსთავი ქვეყნის ერთ-ერთი ინდუსტრიული ცენტრი, ვაჟასი არ იყოს დუქნების ქალაქად იქცა.

არადა, ქალაქში 47 სამრეწველო საწარმო იყო, სადაც 90 ათასი კაცი მუშაობდა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ რუსთავი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ნანგრევების ქალაქად იქცა.

და ეს დაიწყო შევარდნაძის პრეზიდენტობის დროიდან.

სააკაშვილის აღზევების პირველსავე თვეს იგი რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს ორჯერ ეწვია.

პირველი სტუმრიანობისას მეტალურგიაში 3 ათასი ადამიანი მუშაობდა.

როგორც სჩვეოდა, ქარხანა ფეხით შემოირბინა, მერე სათავისო ტრიბუნასთან (ეს ტრიბუნა თან დაჰქონდათ) ხალხმრავალ მიტინგზე ჩვეული რიხით განაცხადა, აქ რვა ათას კაცს დავასაქმებო.

მეორედ მოსვლისას, იქ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უკვე განახევრებული იყო.

სამაგიეროდ, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მთელი რიგი წამყვანი საამქროების დემონტაჟი. უნიკალურ, მილიარდებად ღირებული აგრეგატების — საგლინავი, დგან-400-ის, მილსაადიდო საამქროთა მოწყობილობა — დანადგარების დაშლა და ჯართად გაყიდვა.

ადრე კომბინატი ნეტარხსენებული პატარკაციშვილის საკუთრება გახდა.

მისი ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ გრძელდება მეტალურგიის გიგანტის ლიკვიდაცია.

შარშან ქარხნიდან 1500-მდე პროფესიონალი გაათავისუფლეს.

სხვაგან საერთოდ უკვე გაჩერდა ფაბრიკა-ქარხნები.

უმუშევრობა ქალაქს უკარგავს მომავალს.

ამის შესახებ ჩვენი გაზეთის საშუალებით მაშინდელ მრეწველობის მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს ორჯერ მივმართე, ვთხოვდი ადგილზე გაცნობოდა შექმნილ ვითარებას.

ისე გახდა ბატონი გიორგი ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრი, მერე პრემიერი, რუსთავში არ ჩამობრძანებულა.

არადა, რუსთავი, როგორც საქართველოს ინდუსტრიული ცენტრი კი არა, როგორც ქართული ქალაქი მალე ერთიანად წაიშლება.

არადა, თაობები იკარგებიან, დღეს ყოველი მეორე თუ არა, მესამე რუსთაველი ლოთობს ან ბანქოს თამაშით ირთობს თავს.

თუ სახელმწიფომ არ უშველა, ქვეყნის ხელისუფლებამ ძირეულად არ შეცვალა ეკონომიკური პოლიტიკა, კაზინოებითა და მაღაზიებით ქვეყანა არ აშენდება.

Иქნებ ДღევანДელМა ეკონომიკის... 

იქნებ დღევანდელმა ეკონომიკის მინისტრმა, ბატონმა ქუმსიშვილმა ინებოს ჩამობრძანება. შეკრიბოს პროფესიონალები და ერთობლივად შეიმუშავდეს ქალაქის გადარჩენის ეკონომიკური პროგრამა.

**გივი ჯახუა,**
**გაზეთ „სრ“-ის საკ. კორ.**

**P. S. მართალია, ხელისუფლანი დიდად არ იწუხებენ თავს რეგიონებში ჩასვლით და ადგილზე პრობლემების გადაჭრით, მაგრამ სიტყვით მაინც მოიხსენიებენ ბათუმს, ფოთს, ზუგდიდს, გორს, თელავს, აი რუსთავზე კი სიტყვაც კი არ დასცდებათ, მხოლოდ „ცრუსთავი-2“ თუ ჩამოივლის რუსთავის ბაზრებში და კარგად ჩასუქებულ, ფუმფულა დედაკაცებს ფულებს ჩამოურიგებს და ალაპარაკებენ, შიმშილით როგორ იხოცებიან.**

**დიახ, რუსთავი საქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭეა, კარგი მენეჯმენტის პირობებში მას შეუძლია ქვეყნის ეკონომიკაც გააძლიეროს, ის ხომ კულტურითა და ხელოვნებითაც გამორჩეულია. ამდენად, მმართველი წრის ასეთი გულგრილი დამოკიდებულება რუსთაველებისადმი საგანგაშოდ მიმაჩნია.**

**სამრეწველო ქალაქად დაბადებულს, სხვაგვარად არსებობა რომ არ ეგების, ეს ხომ უდავო ჭეშმარიტებაა.**

**გ. ჯ.**

ვნებათაღელვა მესტიაში

# დაპირისპირება ოქროს გარშემო

**სვანეთში ოქროს მოპოვების დაწყებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მესტიის რაიონის სოფელ იელში ვითარება ძალიან დაძაბულია. როგორც ყოველთვის, ადგილობრივი მოსახლეობა უკან დახევას არ აპირებს.**

**უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც სოფელ იელში ჩინურმა კომპანიამ მდინარე ენგურზე ოქროს მოპოვებითი სამუშაოების წარმოება დაიწყო. სოფელში ტექნიკა შეიყვანეს ღამით უშიშროების თანამშრომელთა თანხლებით, სამუშაოები მიმდინარეობს განუწყვეტლივ, 24-საათიან რეჟიმში. გადათხრილია მთლიანად სოფლის მიმდებარე ტერიტორია.**

**მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, რადგან მათი ინფორმირება არ მოხდა. კომპანიამ არ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც მათ ჰქონდათ ნებართვა სამუშაოების ჩასატარებლად სოფელ იელში.**



სვანები სასწრაფო წესით სამუშაოების შეჩერებასა და მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით რეაგირებას ითხოვენ უშუალოდ პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროტესტო პერმანენტული აქციებით იმუქრებიან, რადგან როგორც ადგილობრივები ირწმუნებიან, პროექტის სამოქმედო არეალი გაცილებით მასშტაბურია და მთლიანად ენგურის ხეობას და მიმდებარე თემებს მოიცავს.

**„შევიკრიბეთ მთელი სვანეთიდან, აქ არის სვანეთის ყველა სოფლის მოსახლეობა. ორი კვირის შემოსულებიც არ არიან და გადათხრილია მთელი ტერიტორია, ტყე გაკაფეს, ზოგ ადგილას 15 მეტრის სიღრმეზე აქვთ ორმოები ამოთხრილი. მთელი სვანეთი ფეხზე დგას, ჩვენ აქ სვანეთის სიყვარულის გამო შევიკრიბეთ. სოფელ იელით დაიწყეს და მთელ სვანეთში ამგვარი სამუშაოების ჩატარებას გეგმავენ.**

**როგორც ვიცი, მათ არც ოქროს მოპოვებისთვის საჭირო ლიცენზია გააჩნიათ, აქვთ მხოლოდ სინჯის აღებისთვის საჭირო ლიცენზია, რაც 2005 წელს მიიღეს. იყენებენ ქიმიურ ხსნარებს, რაც საფრთხეს უქმნის ბუნებას და ადგილობრივ მოსახლეობას. ისეთი სუნია, რომ აქ გაჩერებაც შეუძლებელია. ადგილზე რომ მოვედით, კომპანიის თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ დატოვეს ტერიტორია, ტექნიკაც გავაყვანინეთ და მათ შემოსვლას აღარ დავუშვებთ“,** — განაცხადა ხვიჩა ჩართოლანმა.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც ნენსკრაჰესი უნდა აშენდეს, სამუშაოების წარმოების დროს დიდი რაოდენობით ოქროს მარაგი აღმოაჩინეს, რის გამოც ტერიტორია დაილუქა და ჰესის მშენებლობა შეწყდა.

**„ესენი მთელ ენგურის ხეობას მოედებიან. ნენსკრაჰესზეც შეწყვიტეს მუშაობა, იმის გამო, რომ იქაც ოქრო უპოვიათ და მთელი ტერიტორია დალუქეს. ამჟამად კი იქ ოქროს მოპოვებაზე წილების გადანაწილება მიმდინარეობს“,** — განუცხადა „ამბები.ჯი“-ს ხვიჩა ჩართოლანმა.

საინტერესოა, მართლა აქვს თუ არა ლიცენზია სოფელ იელში მომუშავე კომპანიას. არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ ინფორმაციით, არსებობს 15-წლიანი ლიცენზია კეთილშობილი ლითონების შესწავლა-მოპოვებაზე (მესტიის რ-ნი), რომელიც გაცემულია 2005 წელს. ლიცეზიის მფლობელია საზოგადოება „ოპტიკალ სისტემს“ (აშშ). კომპანიის დირექტორი და მფლობელი ლინა მა (ჩინეთი), განმცხადებელია ვლადიმერ ფანგანი.

მოძრაობა „მწვანე მუშტი“ მხარს უჭერს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნას და უმოკლეს ვადაში მოითხოვს სამუშაოების გაჩერებას სოფელ იელში.

**„ვაპირებთ საპროტესტო კამპანიის წამოწყებას ამ საკითხთან დაკავშირებით. გარემოს დაცვის სამინისტროს და ადგილობრივ ხელისუფლებას მოვუწოდებთ სასწრაფო რეაგირებას“,** — აღნიშნავენ ორგანიზაციაში.

**ბექა დანელია**

სოხუმი

# თანამშრომლობისთვის მზად არიან, ოღონდ...



**ევროკავშირის ყოფილი კომისარი ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამარბერგი ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას შეხვდა. ჰამარბერგი აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დაცულობის კუთხით არსებული ვითარების შესასწავლად ჩავიდა.**

აფხაზური მედიის ცნობით, დე ფაქტო პრეზიდენტმა მასთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა, თუმცა ჰამარბერგის მხრიდან „ნეიტრალურობის“ პირობით.

**„ჩვენ მზად ვართ სათანამშრომლოდ, თუმცა თქვენი ნეიტრალურობის იმედი გვაქვს, რომელსაც ყოველთვის იჩენდით მუშაობისას. ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში, ჩვენც გვაქვს პრობლემები ადამიანის უფლებათა დაცულობის მიმართულებით, მათ არ ვმალავთ და ვმუშაობთ მათ აღმოფხვრაზე. ვეწინააღმდეგებით ჩვენთვის რაღაც პოლიტიზებული იარლიყების მიწებებას. გასათვალისწინებელია ობიექტური სირთულეებიც, რომელსაც აწყდება ახალგაზრდა აფხაზური სახელმწიფო და რომელიც პოსტსაომარ რეალიებსა და საქართველოსთან მოუწესრიგებელ ურთიერთობებს უკავშირდება. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენი კვლევის შედეგები არ იქნება გამოყენებული აფხაზეთზე პოლიტიკური ზეგავლენის ბერკეტად და სხვადასხვა სპეკულაციის მიზნით. ვიმედოვნებ, თქვენი მუშაობა ხელს შეუწყობს არა მარტო ჩვენთან არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, არამედ ჩვენი სახელმწიფოს სწორ აღქმას საერთაშორისო არენაზე“,** — განაცხადა შეხვედრისას რაულ ხაჯიმბამ.

# დედაუნივერსიტეტი ახალ აკადემიურ საბჭოს ირჩევს

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს პირველი ეტაპის არჩევნებზე 13 წევრი აირჩიეს. თსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი დვალიძის განცხადებით, „არჩევნების შედეგად აკადემიური საბჭოს 13 წევრი აირჩა: ირმა ხარშილაძე, ირინე ქურდაძე (იურიდიული ფაკულტეტი), ნოდარ ბელქანია, ამირან ბერძენიშვილი (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), გიორგი ღვედაშვილი, ომარ ფურთუხია (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი), თამარ აბაშიძე, რუსუდან სანაძე (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი), ელგუჯა მექვაბიშვილი, მარინე მინდორაშვილი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), პაატა იმნაძე, ნინო ოკრიბელაშვილი (მედიცინის ფაკულტეტი), ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიური საბჭოს მხოლოდ ერთი წევრი გამოვლინდა — დავით გოცირიძე. ხმების თანაბარი რაოდენობა დააგროვეს აპოლონ სილაგაძემ და ქეთევან ხუციშვილმა. ხელახალი კენჭისყრის თარიღი უახლოეს პერიოდში დაინიშნება.“**

**საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი დვალიძის ინფორმაციით, 791 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში 666-მა მიიღო მონაწილეობა, რაც ამომრჩეველთა სრული შემადგენლობის 84,1%-ია. თსუ საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, არჩევნების პროცესს არასამთავრობო ორგანიზაციების (ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ახალგაზრდა ადვოკატები“, „განათლების რეფორმის მხარდამჭერთა ასოციაცია“) წარმომადგენლები და ინდივიდუალური დამკვირვებლები აკვირდებოდნენ.**

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლის კონსტანტინე სალუქვაძის განცხადებით, „აკადემიური საბჭოს არჩევნები ჩატარდა გამჭვირვალედ და არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა.“**

# ხალხის საყვარელი კომპოზიტორი

## ორჯერ 40 წლის ვაჟა აზარაშვილი

**გამოჩენილ კომპოზიტორს, საქართველოს სახალხო არტისტს, სხვადასხვა პრემიისა და ჯილდოს ლაურეატს, ძვირფას ვაჟა აზარაშვილს, წარმოიდგინეთ, 80 წელი შეუსრულდა. უნებურად გამახსენდა ძველი ჩინური ნაღვლიანი სენტენცია: „ დღეები მირბიან, წლები — მიქრიან!“ მაგრამ ხომ არსებობს ოპტიმისტური — „დრონი უძლურნი არიან სიკეთისა და სილამაზის წინაშე!“**

სწორედ ეს მიესადაგება ჩემს უმცროს მეგობარს (ოდესღაც სტუდენტს!), ყველასათვის საყვარელ განუმეორებელ ვაჟა აზარაშვილს.



რაღა თქმა უნდა, დიდ სიამოვნებას და სიხარულს მანიჭებს მის შესახებ წერა, რაც ჩემთვის ფრიად საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანად მიმაჩნია.

დღეს ვაჟა აზარაშვილი მრავალრიცხოვანი ნაწარმოებების ავტორია მუსიკალური შემოქმედების თითქმის ყველა ჟანრში. მისი მხატვრული ინტერესების დიაპაზონი ძალზე ფართოა, მუსიკის სტილისტური სპექტრი — მრავალფეროვანი, საესტრადო სიმღერიდან — რაფინირებულ ინტელექტუალურ ინსტრუმენტალიზმამდე.

აზარაშვილის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია მელოდიური აზროვნებისა და ემოციური გამომსახველობის შეთავსება წერის თანამედროვე ტექნიკასთან, მუსიკალური ენის სიმახვილესთან. ეროვნული (ხალხური და პროფესიული) ტრადიციების გონივრული სინთეზი შემოქმედებით ნოვაციებთან აზარაშვილის საკომპოზიტორო მეთოდის ესთეტიკურად პერსპექტიული თვისებაა, ხოლო მხატვრულ ძიებათა ინტენსიურობა — მისი შემდგომი წარმატებების საწინდარი.

თავისი პირველადი სამუსიკო განათლებითა და სპეციალობით ვაჟა მევიოლინეა. მან დაამთავრა მე-6 სამუსიკო სკოლა, რის შემდეგ დაიწყო სწავლა მე-3 სასწავლებელში. აქ გაუგო მან გემო საორკესტრო ხმოვანების ხიბლს, როდესაც უკრავდა მოსწავლეთა გაერთიანებულ ორკესტრში. სწორედ მაშინ დაებადა დაუძლეველი სურვილი სამუდამოდ დაეკავშირებინა თავისი თავი მუსიკალური ხელოვნებისა და მისი ყველაზე დაფასებული დარგის — კომპოზიციისათვის.

სასწავლებლის დირექტორმა — შესანიშნავმა პიროვნებამ — ქალბატონმა ქსენია ჯიქიამ არ დააყოვნა და სპეციალურად ვაჟასა და მისი თანაკურსელის — შემდგომში ცნობილი კომპოზიტორის ნუგზარ ვაწაძისათვის გახსნა საკომპოზიტორო განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობისათვის სპეციალურად მოიწვია თვალსაჩინო კომპოზიტორი და შესანიშნავი პედაგოგი პროფ. ალექსანდრე შავერზაშვილი. თბილისის კონსერვატორიაში მისი ხელმძღვანელი გახდა ცნობილი კომპოზიტორი, იმხანად კონსერვატორიის რექტორი, ბატონი იონა ტუსკია (ასპირანტურა შემდეგ ვაჟამ პროფ. ანდრია ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით გაიარა).



მერაბ დონაძე და ვაჟა აზარაშვილი. 2009 წელი. იური მეჩითოვის ფოტო.

პირველი საკომპოზიტორო ცდები გახლდათ ვიოლინოსათვის დაწერილი ნაწარმოებები. კერძოდ, სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, რომელიც ჯერ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის კონკურსზე დაჯილდოვდა პრემიით, ხოლო შემდეგ — საკავშირო კონკურსზე მოსკოვში. სხვათა შორის, სტუდენტობის წლებში დაიწერა პირველი რომანსები და სიმღერებიც — მომავალში კომპოზიტორისათვის ესოდენ საყვარელ ჟანრში.

სადიპლომო შრომად კი მოგვევლინა საფორტეპიანო ტრიო. გენიალურმა კომპოზიტორმა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა, რომელიც სახელმწიფო გამოცდას თავმჯდომარეობდა, მაღალი შეფასება მისცა ტრიოს და მის ავტორს ნათელი მომავალი უწინასწარმეტყველა.

პირველი დიდი აღიარება ვ.აზარაშვილს მოუტანა შესანიშნავმა კონცერტმა ჩელოსათვის (1969). დაუვიწყარია მისი პრემიერის დღე (22 XII, 1970) ელდარ ისაკაძის შესრულებით და ლილე კილაძის დირიჟორობით (ორივენი — ვაჟას ახლო მეგობრები!). ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ქართული მუსიკა გამდიდრდა დიდებული ნაწარმოებით, რომელიც სისტემატურად სრულდება.

ჩელოს კონცერტის ხაზს აგრძელებდა კონცერტი ალტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (1973), სერიოზული და მაღალპროფესიული ნაწარმოები, რომელშიც ნათლად იგრძნობოდა მუსიკალური ენის განახლებისა და გამძაფრების ტენდენცია. იგი დამკვიდრდა ქართველი ალტისტების საკონცერტო და პედაგოგიურ რეპერტუარში.

70-იანი წლებიდან ვ.აზარაშვილი სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობს კამერულ ვოკალურ ჟანრს, იგი მრავლად წერს სიმღერებს, რომლებმაც პოპულარობა მოიპოვეს. ცალკეული სიმღერებისა და რომანსების გარდა, იგი ქმნის კომპოზიციურად და სტილისტურად შეკრულ ვოკალურ ციკლებს ქართველი პოეტების სიტყვებზე. მალე მათ მოჰყვა ორმოქმედებიანი ბალეტი — „ხევისბერი“, რომელიც წარმოდგენილ იქნა ქუთაისში 1982 წლის 22 მაისს. „ხევისბერმა“ ნათლად წარმოაჩინა ვ.აზარაშვილის ნიჭი და შემოქმედებითი შესაძლებლობები მუსიკალური თეატრის რთულ სინთეზურ ჟანრში.

კომპოზიტორის მთელი ინსტრუმენტული შემოქმედების შედევრია — სავიოლონჩელო სონატა, რომელიც პირველად მოვისმინეთ 2005 წ. თამარ გაბარაშვილის შესანიშნავი შესრულებით. სონატა ვაჟამ უძღვნა თავისი მეგობრის, დიდებული ვიოლონჩელისტის ელდარ ისაკაძის ხსოვნას.

ეს ნაწარმოები შეიძლება ჩაითვალოს ახალ სიტყვად კომპოზიტორის შემოქმედებით ევოლუციაში — გამომსახველ საშუალებათა კომპლექსის სიმძაფრითა და თანადროულობით, დახვეწილი საკომპოზიტორო ტექნიკით.

რაც შეეხება სიმფონიურ ნაწარმოებებს, პირველი ნამდვილი წარმატება ხვდათ აზარაშვილის მცირე სიმფონიური ჟანრის ნიმუშებს, როგორებიცაა ძალზე პოპულარული „ნოქტიურნი“ (1986), „ელეგია“, მიძღვნილი 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი, „ნოსტალგია“ (1992) და „ძველი თბილისის სურათები“ (11 პიესა), საორკესტრო (კამერული) ვერსიით.

ამ ნაწარმოებთან ბევრი რამ აქვს საერთო „ფანტაზიას ძველი თბილისის თემებზე“ — ვიოლონჩელისტთა ანსამბლისა და ფორტეპიანოსათვის, რომელმაც 2003 წელს პირველი პრემია მოიპოვა სანკტ-პეტერბურგში, „ჩრდილოეთის დედაქალაქის“ დაარსების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო დედაქალაქის“ დაარსების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონკურსზე და იქვე შესრულდა ფილარმონიის დიდ დარბაზში.

ახლა კი კომპოზიტორის მეორე „ჰიპოსტასზე“. ალბათ, არც ერთი ჩვენი „სერიოზული“ კომპოზიტორი არ უთმობს იმდენ დროსა და ადგილს თავის შემოქმედებით მოღვაწეობაში მსუბუქ და საესტრადო ჟანრებს, როგორც ვაჟა აზარაშვილი. აქაც მისი მხატვრული „ამპლიტუდა“ ერთობ ვრცელია.

ოპერეტა, მიუზიკლი, საესტრადო სიმღერა — აი, არასრული სია „მსუბუქი“ ჟანრებისა, რომელთაც მიმართავს კომპოზიტორი. გავიხსენოთ საყოველთაოდ ცნობილი „დინამო“, „დინამო“, რომელიც ქართული ფეხბურთის „მუსიკალურ ემბლემად“ გვევლინებოდა მისი აღმავლობის წლებში და ასეთად დარჩა ამჟამადაც. მოვიგონოთ სიმღერა „მუსიკაც“, რომელმაც მრავალზე მრავალ ესტრადაზე გაიჟღერა თამარ გვერდწითელის შესრულებით, ხევსურული ბალადა“, „ისევ წვიმს“ და სხვანი, რომლებიც უთვალავჯერ მოგვისმენია ნანი ბრეგვაძისა და სხვა მომღერალთა კონცერტებზე.

ვ. აზარაშვილი შვიდი ოპერეტის ავტორია და მათ წარმოდგენებს არასოდეს აკლდა მაყურებლის ყურადღება — დაწყებული „მეცხრე ტალღით“ (1969) და დამთავრებული „მეჩექმე გაბოთი“.

ვაჟას თვალსაჩინო წარმატებები საზოგადოებრივ სარბიელზე ემყარება მისი ადამიანური ხასიათის ისეთ მნიშვნელოვან თვისებებს, როგორებიცაა მტკიცე პრინციპულობა, შეუპოვრობა სიმართლისათვის ბრძოლაში, ლაღი ოპტიმიზმი, ბუნებათანაზიარობა. ეს თვისებები განსაკუთრებული სიცხადით გამოვლინდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მისი თავმჯდომარეობის პერიოდში (1999-2007).

1971 წლიდან თბილისის კონსერვატორიაში, ასწავლიდა ინსტრუმენტობის კურსს, აღზრდილი ჰყავს არაერთი ნიჭიერი მუსიკოსი (კომპოზიტორი და მუსიკისმცოდნე).

მის საკონცერტო მოღვაწეობას ბადალი არ ჰყავს საქართველოში არც წარსულში და არც ამჟამად. თავის შემოქმედებით მეგობართან — ცნობილ მომღერალ მერაბ დონაძესთან და სხვა მუსიკოსებთან ერთად ვაჟას საავტორო კონცერტებით შემოვლილი აქვს მთელი საქართველო, ხოლო თუ ამას დავუმატებთ, რომ ვაჟა ფლობს ძლიერ ხმას — ტენორს და საუკეთესოდ ასრულებს თავის სიმღერებს, აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მას ასე გულთბილად, ასეთი სიყვარულით ეგებებიან ყველგან, სადაც კი იგი დაადგამს ფეხს.

ვაჟას არასოდეს აკლდა ოფიციალური წრეების ყურადღება და დაფასებაც. იგი საქართველოს სახალხო არტისტი (1988) და თბილისის საპატიო მოქალაქეა (1990). დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“, მრავალი სხვადასხვა პრემიით, მათ შორის, სახელმწიფოსი, რუსთაველის და ზ. ფალიაშვილის სახელობისა, დიპლომებით და ა.შ.

წერილის დასასრულ არ შემიძლია, არ გავიხსენო ვაჟას ფრთიანი გამოთქმები: სკეპტიკური — „გუშინ მოდი!“ განსაკუთრებით კი — ოპტიმისტური — „ის აქ არის!“, რომელიც ლამის საყოველთაო ლექსიკონშიც დამკვიდრდეს. ჩვენც ეს წერილი ამ გამოთქმით დავასრულოთ, რომლის ერთობ ტევად აზრობრივ შინაარსში სახელოვანი იუბილარის დიდი ხნით კარგად ყოფნასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვგულისხმობთ.

„ის აქ არის!“ „ის აქ არის, ჩვენი ვაჟა!“.

**გულბათ ტორაძე.**

**P.S.** 8 მაისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ვ. აზარაშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

## ესპანელი ეთნომუსიკოლოგის მასტერკლასი

**მსოფლიოში ბევრი სისტემური კვლევა არსებობს ეფექტური პედაგოგიური პროცესის ასაგებად — მეთოდები, კონცეფციები, თეორიები, რომელთაგანაც ზოგი ამართლებს, ზოგი არა, მაგრამ არის სისტემები, რომლებიც უკვე გამოცდილი და აპრობირებულია. ცნობილი გერმანელი კომპოზიტორის კარლ ორფის მუსიკალური სწავლების სისტემა მეტყველების, მოძრაობის, სიმღერის და საორკესტრო ინსტრუმენტებზე დაკვრის სინთეზია. ამავე სისტემის აღზრდილია ცნობილი ესპანელი ეთნომუსიკოლოგი, პედაგოგი და კომპოზიტორი პოლო ვალეხო, რომელიც მესამე დღეა, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში მასტერკლასს მართავს.**



# ჩვენი ყოფნა-არყოფნის სარკე



საქართველოში, თავისი ხანგრძლივი და მშფოთვარე ისტორიის განმავლობაში, მეზობელი თუ საკმაოდ შორებელი ქვეყნების შვილებსაც უცხოვრიათ. ზოგჯერ ამ პროცესს იმდენად მასშტაბური ხასიათი მიუღია, რომ სახიფათო გამხდარა ქვეყნის არსებობისათვის. შემთხვევით არ უთქვამს „ნათესავით ქართველთას“ მოჭირნახულეს, მე-8 საუკუნის მოღვაწეს იოანე საბანისძეს: „აღვერიენით ერსა უცხოსა, სჯულისა ჩვენისა მაგინებელთა“. შემდეგ საუკუნეებში ჩვენს ქვეყანაში სხვა ერის შვილებიც შეგვიფარებია, ზოგიც ძალით დასახლებულა ჩვენს მიწაზე, მაგრამ გადაგვარების საფრთხისათვის თავი მაინც დაგვიღწევია. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ მე-19 საუკუნემდე საქართველო მრავალეროვანი ქვეყანა იყო, იმ პერიოდიდან კი, როდესაც „ჩვენი თავი ჩვენ აღარ გვეყუდნოდა“, საქართველოში სხვადასხვა ერის შვილებსაც ასახელებენ. ზოგიერთი ერი ჩვენს ქვეყანაში თავის კოლონიებსაც აარსებდა. მიუხედავად ამისა, ეროვნული შუღლი არ ჩამოვარდნილა, პირიქით, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ და სხვა ერის შვილებს თავიანთი ხიბლიც შეჰქონდათ საერთო ცხოვრების ფერხულში. მეოცე საუკუნის დასასრულს, გლობალური არასტაბილური პოლიტიკის ფონზე, რომელიც უშუალოდ საბჭოთა კავშირის ელვისებურმა დაშლამ გამოიწვია, სეპარატისტულმა და გარეშე ძალებმა სისხლისმღვრელი ეთნოკონფლიქტებიც კი გააჩაღეს და სრულიად უკანონოდ სახელმწიფო საზღვრების შეცვლასაც შეუდგნენ.

ბოლო 25 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული შემადგენლობა არნახულად შეიცვალა. მაგრამ ეს მარტო საქართველოში არ მომხდარა. ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში იგივე პროცესებს ჰქონდა ადგილი. საბჭოთა კავშირში რუსეთის გარდა მოკავშირე რესპუბლიკებში თითქმის 25 მილიონი რუსი ცხოვრობდა. მათი დიდი უმრავლესობა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა. ეკონომიკური სიდუხჭირის, ეთნოკონფლიქტების, ეროვნული ერთიანობის ამაღლების შედეგად 1990-იანი წლებიდან ტიტულოვანი ერებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც უკეთესი და უსაფრთხო პირობების საძებნელად სხვა ქვეყნებში წავიდნენ საცხოვრებლად. ამ პროცესს, სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ნაწილმაც ვერ დააღწია თავი.

ქართველები მე-19 საუკუნესა და თითქმის მთელ მე-20 საუკუნეში დასავლეთ საქართველოში უფრო მეტი რაოდენობით ცხოვრობდნენ, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. 1886 წელს რუსი მოხელეების მიერ შედგენილი საოჯახო სიების მიხედვით საქართველოს მოსახლეობა 1 731449 კაცს უდრიდა, აქედან 1 218 696 კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 70,4 პროცენტი ქართველი იყო. თბილისის გუბერნიაში, ანუ აღმოსავლეთ საქართველოში 396 673 ქართველი ცხოვრობდა, ქუთაისის გუბერნიაში კი 2,1-ჯერ მეტი – 822023 ქართველი. ეთნოგრაფიული ჯგუფების მიხედვით იმერლების რაოდენობა 422 877 კაცს უდრიდა, მეგრელებისა – 245 422 კაცს და ა.შ.

1987 წელს რუსეთის იმპერიის მაშინდელ საზღვრებში 1 352, 5 ათასი ქართველი ცხოვრობდა, მათ შორის კავკასიაში – 1 350, 3 ათასი, ხოლო საქართველოში – 1 336,7 ათასი. კვლავინდებურად ქუთაისის გუბერნიაში თითქმის 2-ჯერ მეტი ქართველი ცხოვრობდა (868, 8 ათასი), ვიდრე თბილისის გუბერნიაში (467, 6 ათასი). ამრიგად, რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველები, შეიძლება ითქვას, მთლიანად თავის ქვეყანაში ბინადრობდნენ (98, 8 პროცენტი). თითქმის მე-20 საუკუნის დასასრულამდე დასავლეთ საქართველოში მეტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. მხოლოდ 1989 წელს გათანაბრდა მათი რაოდენობა – როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში 1894 ათასი ქართველი ცხოვრობდა.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების თანახმად საქართველოში 3 224 504 ქართველი ცხოვრობდა, ანუ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 86,8 პროცენტს ქართველები შეადგენენ. მათი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა 1989 წელთან შედარებით (16,7 პროცენტული პუნქტი). ამავე დროს 2014 წელს ქართველების რიცხოვნობა 1989 წელთან შედარებით 562 889 კაცი შემცირდა, ხოლო 2002 წელთან შედარებით – 436 669 კაცით. ამდენად, ქართველების რაოდენობა ძირითადად 2002-2014 წლებში შემცირდა. ორ უკანასკნელ აღწერათაშორის პერიოდში ქართველების რაოდენობა ყველა რეგიონში შემცირდა თბილისის გარდა (მოიმატა 86 092 კაცით). განსაკუთრებით შემცირდა ქართველების რაოდენობა იმერეთის (159 202 კაცი), სამეგრელოს (130 952 კაცი), შიდა ქართლისა (38 903 კაცით) და გურიის (27 674 კაცით) რეგიონებში.

საქართველოს მთელ მოსახლეობაში, 2014 წლის აღწერამდე, ქართველების შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობით სომხები ცხოვრობდნენ. იმის გამო, რომ სომხები დიდი რაოდენობით წავიდნენ საქართველოდან (1989 წელთან შედარებით სომხები შემცირდნენ 269 109 კაცით, ხოლო 2002 წელთან – 80827 კაცით) მეორე ადგილზე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, აზერბაიჯანელებმა გადმოინაცვლეს. ამჟამად საქართველოში 233 ათასი აზერბაიჯანელი და 168 ათასი სომეხი ცხოვრობს. განსაკუთრებით შემცირდნენ საქართველოში მცხოვრები რუსები – 1989 წელთან შედარებით 315 ათასი და 2002 წელთან შედარებით 41 ათასი კაცით. რუსების რიცხოვნობა ამჟამად მხოლოდ 26 ათას კაცს უდრის და მათი ნახევარი თბილისში ცხოვრობს. ძირითადად თბილისში ცხოვრობენ იეზიდები და ქურთები. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოში 232 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, ხოლო დასავლეთში – 545, სომხები კი შესაბამისად – 160 ათასი და 8 ათასი.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ჩვენი მსჯელობა უფრო სრული რომ იყოს, შემდეგიც უნდა ითქვას. ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიაში მოსახლეობის 1897 წელს ჩატარებულ აღწერის მიხედვით დასავლეთ საქართველოში ქართველები მთელი მოსახლეობის 89,9 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 49,1 პროცენტს. 2014 წელს თბილისში ქართველები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 90,0 პროცენტს, აჭარაში – 96,0 პროცენტს, იმერეთში – 99, 3 პროცენტს, გურიაში – 98, 1 პროცენტს, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 99,3 პროცენტს, კახეთში – 85, 1 პროცენტს, მცხეთა-მთიანეთში – 94, 5 პროცენტს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 99,7 პროცენტს, სამცხე-ჯავახეთში – 48, 3 პროცენტს, ქვემო ქართლში – 51, 3 პროცენტს, შიდა ქართლში – 94, 7 პროცენტს.

2014 წელს საქართველოში 3097, 6 ათასი კაცი (83, 4 პროცენტი) მართლმადიდებელი იყო, 398,7 ათასი (10, 7 პროცენტი) – მაჰმადიანი, 109 ათასი (2, 9 პროცენტი) სომხურ-სამოციქულო სარწმუნოებას აღიარებდა, კათოლიკე იყო 19,2 ათასი (0,5 პროცენტი), იეღოვას მოწმე – 12, 4 ათასი კაცი (0,3 პროცენტი) და სხვა აღმსარებლობას 13,9 ათასი კაცი (0, 4 პროცენტი) მისდევდა. საქართველოს 19,1 ათასი მცხოვრები (0,5 პროცენტი) არც ერთ სარწმუნოებას არ აღიარებდა და, ფაქტობრივად, ათეისტი იყო. წინა აღწერის მონაცემებთან შედარებით აჭარის მთელ მოსახლეობაში გაიზარდა მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევართა წილი, როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით. კერძოდ, 2002 წელს აჭარაში მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებდა 115 161 კაცი (30,6 პროცენტი), ხოლო 2014 წელს – 132 852 კაცი (40, 0 პროცენტი). განსაკუთრებით გაიზარდა ეს მაჩვენებელი ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალები ვერ ახდენენ სასურველი რაოდენობის ბავშვების გაჩენის რეალიზაციას და ამჟამად, ფაქტობრივად, მათ სასურველ ბავშვებზე ბევრად ნაკლები ბავშვი ჰყავთ. შობადობის შემცირების შედეგად სულ უფრო იზრდება ერთ და ორბავშვიანი ოჯახების როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლები. საერთოდ სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა რიცხვს ასახელებს ოჯახში სასურველი ბავშვის გაჩენის შესახებ. ისმება კითხვა, მაინც რამდენი ბავშვი უნდა იყოს ოჯახში? სხვადასხვა ადამიანი კითხვაზე, თუ რამდენი ბავშვი უნდა იყოს ოჯახში, სხვადასხვაგვარად პასუხობს იმისგან დამოკიდებულებით, თუ როგორია მათი ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, განათლება, რომელ რელიგიურ მიმდინარეობას აღიარებენ, რამდენი წლისანი არიან და სხვ.

როგორც მშობლების, ისე ბავშვების უმეტესობისათვის, უმჯობესია თუ ოჯახში პატარას ჰყავს თუნდაც ერთი ძმა ან და. ბევრიც სამბავშვიან ოჯახებს აძლევს უპირატესობას, მაგრამ ბევრი ოჯახი ამჟამად ერთი ბავშვით იფარგლება. საერთოდ, შობადობის ოპტიმალური დონის პირობებში ერთმანეთთან ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული ოჯახისა და საზოგადოების ინტერესები. ვერავის ვერ დავაძალებთ მეტი ბავშვის ყოლას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში, თავს ვერ მოვახვევთ მათთვის მიუღებელი ოჯახური ქცევის ნორმებს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ასეთ პირობებში დაჩქარდეს დეპოპულაციის პროცესი. როდესაც გამოკვლეულია დემოგრაფიული კრიზისი, რომელმაც უდავოდ ტრაგიკული ფორმა მიიღო და უკვე საქმე ეხება მთელი საზოგადოების, ქვეყნის არსებობას, შეიძლება შობადობის წახალისების, ამაღლების აქტიური პოლიტიკა გავატაროთ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, რომელიც მეტად დადებით შედეგს ორ ათეულ წელიწადს მაინც მოგვცემს და ხანგრძლივ პერიოდშიც გარკვეული დადებითი შედეგების მომტანი იქნება.

ამჟამად, როგორც აღვნიშნეთ, პერსპექტივაში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ჯერ შევანელოთ უარყოფითი დემოგრაფიული პროცესები და შემდეგ ვიზრუნოთ მოსახლეობის გაფართოებულ გამრავლებაზე. მყისიერად დემოგრაფიული ვითარების გამოსწორება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ეს პრობლემა შეიძლება გადაწყდეს, თუკი ყოველი ქალი ცოცხლად დაბადებს 10-12 ბავშვს მთელი ცხოვრების განმავლობაში, რაც მის საშუალო ნაყოფიერებას უდრის. როგორც ცნობილია, ქალების ფერტილური პე-

**საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1989, 2002 და 2014 წლებში მოსახლეობის აღწერების მიხედვით**

| | 1989 | | 2002 | | 2014 | | ცვლილება 2014 წელს-1989 წელთან შედარებით | ცვლილება 2014 წელს-2002 წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აბსოლუტურად | % | აბსოლუტურად | % | აბსოლუტურად | % | | |
| საქართველო სულ | 5 400 841 | 100,0 | 4 371 535 | 100,0 | 3 713 804 | 100,0 | -1 687 037 | -657 731 |
| მათ შორის ქართველი | 3 787 393 | 70,1 | 3 661 173 | 83,8 | 3 224 504 | 86,8 | -562 889 | -436 669 |
| აზერბაიჯანელი | 307 556 | 5,7 | 284 761 | 6,5 | 233 024 | 6,3 | -74 532 | -51 737 |
| სომეხი | 437 211 | 8,1 | 248 929 | 5,7 | 168 102 | 4,5 | -269 109 | -80 827 |
| რუსი | 341 172 | 6,3 | 67 671 | 1,5 | 26 453 | 0,7 | -314 719 | -41 218 |
| ოსი | 164 055 | 3,0 | 38 028 | 0,9 | 14 385 | 0,4 | -149 670 | -23 643 |
| იეზიდი* | - | - | 18 329 | 0,4 | 12 174 | 0,3 | - | -6 155 |
| უკრაინელი | 52 443 | 1,0 | 7 039 | 0,2 | 6 034 | 0,2 | -46 409 | -1 005 |
| ქისტი* | - | - | 7 110 | 0,2 | 5 697 | 0,2 | - | -1 413 |
| ბერძენი | 100 324 | 1,9 | 15 166 | 0,3 | 5 544 | 0,1 | -94 780 | -9 622 |
| ებრაელი | 24 795 | 0,5 | 3 772 | 0,1 | 1 405 | 0,0 | -23 390 | 2 367 |
| დანარჩენი | 55 892 | 1,0 | 19 557 | 0,3 | 16 482 | | -169 410 | -3 075 |

*** 1939 წლის აღწერის შემდეგ იეზიდები აღირიცხებოდნენ ქურთებთან ერთად. 2002 წლის აღწერის დროს ისინი ცალკე გამოიყვნენ იეზიდთა ტრადიციების ცენტრის “რაზიბუნ”-ის მოთხოვნით.**

*** 2002 წლის აღწერამდე ქისტები “დანარჩენ ეროვნებებიდან” არ გამოიყოფოდნენ.**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 85

# რა გვიჩვენა მოსახლეობის 2014 წლის აღწერამ

რიოდი (15-49 წლების ასაკი), როდესაც მათ აქვთ ბავშვების გაჩენის უნარი, 35 წელს შეადგენს, რეპროდუქციული პერიოდი (განისაზღვრება დაქორწინების ასაკისა და უკანასკნელი ბავშვის გაჩენის ასაკს შორის სხვაობით) გაცილებით ნაკლებია ფერტილურ პერიოდზე და საქართველოში საშუალოდ 6 წელს უდრის.

ამჟამად, დღევანდელი ცხოვრების წესის პირობებში ბუნებრივი შობადობა, როდესაც ბავშვთა შობის ნებელობით შეზღუდვას ადგილი არა აქვს და ბავშვების შესაძლებელ რაოდენობას აჩენენ, არც არის საჭირო. საქართველოში რომ ყოველმა ქალმა 10-12 ბავშვი, ან თუნდაც 6-8 ბავშვი გააჩინოს, ქვეყანა ეკონომიკურად გაჩანაგდება, არნახულად გაუარესდება ცხოვრების ხარისხი, დუხჭირ ცხოვრებას თავს ვერ დავაღწევთ, კიდევ უფრო გაიზრდება მოკვდაობა, მიგრაციული პროცესები. მოხდება „ტვინების გადინება“ ისეთი სფეროებიდან, როგორიცა სახელმწიფო აპარატი და სამეწარმეო საქმიანობა, განათლება. საზღვარგარეთ გაიზარდება იმ ადამიანების ნაკადი, რომლებსაც შეუძლიათ ცხოვრების სიძნელეებთან ბრძოლა. ქვეყნიდან წავა განათლებული და შემოვა დაბალი განათლების დონის, სხვა კულტურისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები. რაც ასევე მთავარია, საჭირო გახდება სულ მცირე დროში 4-6-ჯერ მეტი საბავშვო ბაღების, სკოლების, ბავშვთა და არა მარტო ბავშვთა საავადმყოფოების აშენება, სურსათის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის წარმოება, შემდეგ კიდევ სამუშაო ადგილების მოწყობა და სხვა, რაც შეუძლებელია. ქვეყნის ბიუჯეტი ვერ გაწვდება მხოლოდ ბავშვთა საჭიროებების ნორმალურ დაკმაყოფილებას.



უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა, გავარკვიოთ თუ რამდენი ბავშვი უნდა გააჩინოს ქალმა მოსახლეობის ერთი და იგივე რაოდენობით გაზრდისათვის ან მოსახლეობის გაფართოებული გამრავლებისათვის. ერთი შეხედვით ცხადია, რომ თუ ქალი აჩენს ორ ბავშვს, იგი ანაზღაურებს მშობელთა თაობას და ხდება თაობათა ერთი და იგივე რაოდენობით გამრავლება. მაგრამ ეს ასე არ არის. თუ ყოველი ქალი გააჩენს ორ ბავშვს, ასეთი ერი დიდი ხნის შემდეგ ამოწყდება. და თუ ქვეყანაში სხვა, რომელიმე ერის წარმომადგენლები შედარებით მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევიან, ვთქვათ, ყოველი ქალი სამ და მეტ ბავშვსაც კი აჩენს, ამ შემთხვევაში შედარებით დიდი ხნის გავლის შემდეგ ტიტულოვანი ერის (რომელმაც სახელი მისცა ქვეყანას) წარმომადგენლები უმცირესობაში მოექცევიან.

ყოველი ქალის მიერ ორი ბავშვის გაჩენის შემთხვევაში, მოსახლეობის გამრავლების თვალსაზრისით, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოებები. ყველა ცოცხლად დაბადებული გოგონა ვერ მიაღწევს ნაყოფიერების ასაკს, არსებობს უნაყოფო ქორწინებები, მათ შორის ნებაყოფლობითი უნაყოფობა, როდესაც ქალებს არ სურთ ბავშვების ყოლა, ქალების გარკვეული რაოდენობა საერთოდ არ ქორწინდება თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ამასთან, დედების მიერ ბავშვთა გაჩენის რაოდენობაზე გავლენას ახდენს ქორწინების შეწყვეტა — დაქვრივება ან განქორწინება. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსახლეობის ერთი და იგივე რაოდენობით გამრავლებისათვის საჭიროა, ყოველმა საქორწინო წყვილმა გააჩინოს 2,6 ბავშვი, ხოლო ყოველმა ქალმა — დაახლოებით 2,2 ბავშვი. წინა წლებში ყოველი ქალი საშუალოდ აჩენდა 1,5-1,7 ბავშვს და მშობლების ანაზღაურება ხდებოდა მხოლოდ 68-78 პროცენტით. ამდენად, ყოველი ქალის მიერ სამი და მით უმეტეს 4 ბავშვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსახლეობის გაფართოებული გამრავლება, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის.

ამრიგად, მთავარია, სახელმწიფომ და მთელმა ერმა იზრუნოს იმისათვის, რათა ყოველმა ქალმა გააჩინოს მესამე ბავშვი. სამშვილიანი ოჯახი უნდა გახდეს ჩვენი ცხოვრების ნორმა. განსაკუთრებით მესამე ბავშვის სტიმულირების აუცილებლობის შესახებ შეიძლება ასეთი მაგალითიც მოვიყვანოთ. 2015 წელს საქართველოში 22644 მეორე ბავშვი დაიბადა, ხოლო რიგით მეხუთე და შემდეგი ბავშვები — 718. თუ ისინი თითო ბავშვს კიდევ გააჩენენ, მესამე ბავშვის დაბადებათა რაოდენობა 22644 ბავშვით გაიზრდება, ხოლო მეხუთე და მეტი ბავშვებისა — 718 ბავშვით. ეს მაგალითი ხანგრძლივ პერიოდზე გაანგარიშებით კიდევ უფრო ცხადყოფს ყოველი ქალის მიერ მესამე ბავშვის გაჩენის საჭიროებას. 1992-2015 წლებში ანუ 24 წელიწადში დაბადების რიგითობის მიხედვით ხუთი და მეტი ბავშვი გააჩინა 15090 დედამ, ხოლო მხოლოდ მეორე ბავშვი — 439 143 დედამ. თუ დავუშვებთ, რომ ეს 15090 დედა, რომლებიც, პრაქტიკულად, ჯერ კიდევ იმყოფებიან ფერტილურ ასაკში და აქვთ მომდევნო რიგითობის ბავშვის გაჩენის უნარი, კიდევ ერთ მომდევნო ბავშვს გააჩენენ, მაშინ დამატებით 15090 ბავშვი დაიბადება, ანუ საშუალოდ წელიწადში 628 ბავშვი. ანალოგიურად დედებმა, რომლებმაც ამ 24 წელიწადში უკვე გააჩინეს 439 143 მეორე ბავშვი და გადაწყვიტეს, გააჩინონ მომდევნო მესამე ბავშვი, მაშინ ასეთ შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში, საქართველოს მოსახლეობას 439 143 ბავშვი შეემატება, ანუ საშუალოდ წელიწადში 18 298 ბავშვი, რაც საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი გაზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია. რა თქმა უნდა, ქალების ნაწილი აჩენს მესამე შვილს, მაგრამ ქალების დიდი ნაწილი ორი ბავშვის ამარა რჩება. ნათელი ხდება ერის გამრავლებისათვის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მესამე ბავშვის დაბადების სტიმულირებას.

ჩვენი განსახილველი პრობლემა დასრულებულად არ ჩაითვლება თუ შემდეგიც არ ითქვა: ბოლო ორი მოსახლეობის აღწერათშორისი პერიოდი (2002-2014 წლები) 12 წელიწადს მოიცავს. აქედან ერთი წელი ხელისუფლების სათავეში მოქალაქეთა კავშირი იყო. 9 წელი — ნაციონალური მოძრაობა, ხოლო ორი წელი — ოცნება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისედაც მძიმე დემოგრაფიული ვითარება კატასტროფის პირზე მიიყვანა ნაციონალურმა მოძრაობამ, რასაც კონკრეტული სტატისტიკურ-დემოგრაფიული მონაცემები თვალნათლივ ადასტურებენ. საკმარისია ითქვას, რომ 30 ათასამდე პატიმრისა და თითქმის 350 ათასი პრობაციონერის არსებობის შედეგად, მიახლოებითი გაანგარიშებით, 40 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადა, ე.ი. თითქმის იმდენი, რამდენიც ერთი წლის განმავლობაში იბადება ქვეყანაში.

დასასრულ, ერთი მთავარი დემოგრაფიული მოვლენის შესახებაც უნდა აღინიშნოს: 2002-2014 წლებში შემოსულებს გასულებმა გადააჭარბეს 759823 კაცით. ამასთან, იმიგრანტთა რაოდენობა, აღწერის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 5,0 პროცენტია, ანუ 185 690 კაცი. მაშინ — 2002-2014 წლებში — ემიგრაციაში საქართველოდან საზღვარგარეთ წავიდა და იქ ერთ წელზე მეტია ცხოვრობს 574133 კაცი.



**ანზორ თოთაძე,**
**პროფესორი, დემოგრაფი.**

**ქართველების რაოდენობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში 1886-2014 წლებში**

**ათასი**

| | 1886 | 1897 | 1939 | 1979 | 1989 | 2002 | 2014 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო სულ აბსოლუტურად | 1219 | 1337 | 2174 | 3433 | 3788 | 3661 | 3225 |
| პროცენტობით | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| აღმოსავლეთ საქართველო აბსოლუტურად | 397 | 468 | 875 | 1636 | 1894 | 1969 | 1902 |
| პროცენტობით | 32,6 | 35,0 | 40,2 | 47,7 | 50,0 | 53,8 | 59,0 |
| დასავლეთ საქართველო აბსოლუტურად | 822 | 869 | 1299 | 1797 | 1894 | 1692 | 1323 |
| პროცენტობით | 67,4 | 65,0 | 59,8 | 52,3 | 50,0 | 46,2 | 41,0 |



# მოვიდა სეტყვა... არ დახვდა დანადგარი!

**ბოლო დღეებში, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოსული სეტყვის შედეგად, მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალი მილიონობით ლარს შეადგენს. „ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, ამ ზარალის თავიდან აცილება ან მინიმალიზირება შესაძლებელი იქნებოდა თავდაცვის სამინისტროს შესაბამის ვადებში რომ მიეცა დაფინანსება სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტასთვის“, სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარებს გამართული მუშაობისთვის.**

**სპეციალისტების განცხადებით, მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალი რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს. მხოლოდ ერთ დღეს, 6 მაისს, მოსული სეტყვის შედეგად გორის რაიონში, დაახლოებით 6500, ხოლო ქარელის რაიონში — 1200 ჰექტარზე დაზიანდა როგორც ერთწლოვანი, ასევე მრავალწლოვანი ნარგავები და ნათესი ფართობები. სულ, ამ დრომდე, შიდა ქართლსა და კახეთში ზარალისმომტანი სეტყვა მოვიდა 8-ჯერ და ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ნარგავები 10 ათას ჰექტარამდე ფართობზეა დაზიანებული.**



**საქართველოს სხვადასხვა მინიციპალიტეტებში მოსული სეტყვისა და სასოფლო სამეურნეო სავარგულების განადგურების შემდეგ, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურმა ცენტრმა „დელტამ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარებს მაისის ბოლომდე აამოქმედებდა.**

**„დელტას“ შეფერხება თავდაცვის მინისტრის თინათინ ხიდაშელის ცენტრთან დაპირისპირებამ და კონკრეტულად სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების არაპრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნევამ განაპირობა.**

**მართალია, „დელტაში“ საყვედურს თავდაცვის სამინისტროს, მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის მიმართ ღიად არ გამოთქვამენ, თუმცა, ცენტრში ყველასთვის ცნობილია, რომ მის ხელმძღვანელობას აქვს სამინისტროსთან კომუნიკაციის პრობლემა.**

**კონკრეტულად, სეტყვასაწინააღმდეგო დანადგარის უმოქმედობასთან დაკავშირებით „დელტაში“ განუცხადეს, რომ დანადგარი მწყობრში მაისის ბოლოს იქნება. სააგენტოს კითხვაზე, რატომ შეხვდა „დელტა“ ასე მოუმზადებელი უამინიდობას, ცენტრში აცხადებენ, რომ მიმდინარეობს „დანადგარის პროგრამული გადატვირთვის პროცესი“.**

**„შარშან დანადგარი მუშაობდა სატესტო რეჟიმში. ჩვენ უცხოეთიდან შემოგვქონდა რაკეტები. წელს თავად დავიწყეთ რაკეტების წარმოება, რამაც აუცილებელი გახადა დანადგარის სრული პროგრამული გადატვირთვა, რაც სავარაუდოდ, მაისის ბოლომდე დასრულდება““, — განაცხადა „დელტას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა თამარ გვარიშვილმა.**

**რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებულ კითხვებს — დაფინანსების დროულად მიღების ან/და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ — „დელტაში“ კომენტარისგან თავს იკავებენ. თუმცა „ჯი-ეიჩ-ენის“ ხელთ არსებული ინფორმაციით, სწორედ დაფინანსების დაგვიანება და არასათანადო კომუნიკაცია გახდა სეტყვასაწინააღმდეგო დანადგარის მწყობრში შესაბამის ვადებში შესვლის შეფერხებისა და მოსახლეობისთვის მიყენებული მილიონობით ლარის ზარალის მიზეზი.**

**„ჯი-ეიჩ-ენი“ ასევე ფლობს ინფორმაციას, რომ აღნიშნულ საკითხზე „დელტას“ ხელმძღვანელობამ არაერთხელ მიმართა თავდაცვის სამინისტროს და კონკრეტულად მინისტრს, კურატორ მოადგილეს (დ. ებრალიძე), თუმცა ეს საკითხი შესაბამის ვადებში არ იქნა განხილული და დაკმაყოფილებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროში ვალდებულების პირნათლად შესრულებაზე საუბრობენ.**

**„ჩვენ პირნათლად შევასრულეთ ის, რაც გვთხოვა „დელტამ“, თანხა გადავურიცხეთ“, განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ სატელეფონო კომენტარში თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა მედიასთან ურთიერთობის საკითხებში იმედა დარსალიამ.**

**ამასობაში კი სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რეგიონების სამხარეო ადმინისტრაციებში ზარალს ითვლიან. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თანადგომას ხელისუფლებისგან ითხოვს.**

**გასული წლის ზაფხული-შემოდგომის სეზონის განმავლობაში კახეთში 50 სეტყვასაშიში პროცესი განვითარდა, მათგან სისტემამ 47 შემთხვევა სრულიად გაანეიტრალა. საბოლოო შედეგებით, სეტყვასაწინააღმდეგო სისტემამ მიმდინარე წელს 95%-იანი ეფექტიანობა აჩვენა.**

# უცნობი გენერალისიმუსი...

## სტალინი. პირადი ცხოვრება




*ალექსეი რიბინის ჩანაწერები*

## თეირანის კონფერენცია

**ახლოვდებოდა** თეირანის კონფერენცია და სტალინის თეირანში წასასვლელად პოლკოვნიკმა გრაჩოვმა ბაქოდან თვითმფრინავი ჩამოიყვანა. სამივე ქვეყნის მთავრობათა ხელმძღვანელების თათბირები საბჭოთა საელჩოში ტარდებოდა. სტალინი რუზველტსა და ჩერჩილს მეორე ფრონტის გახსნას სთხოვდა.

ახლა ბევრს ხმაურობენ ცნობილი სკორცენის შესახებ, მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ, აქაოდა, დივერსიის მოხდენა უნდოდაო, მაგრამ ჩვენ ეს დიდი ხანია, ვიცოდით და მანამდე მივიღეთ საჭირო ზომები, ვიდრე ის თეირანის ჰორიზონტზე გამოჩნდებოდა, ამიტომაც მეჭორე უკან, რა თქმა უნდა, პირში ჩალაგამოვლებული დაბრუნდა... ჩერჩილის დაცვის ჯგუფი წარმოუდგენლად ხმაურიანი იყო. შეხტებოდნენ მანქანაში ბრაგაბრუგით და დააქროლებდნენ სულმოუთქმელად ქუჩებში. გზაჯვარედინებზე ყველგან ზარბაზნები იყო ჩარიგებული, რომლებიც ძალიან ჰგავდა ჩვენ ზარბაზნებს. ცნობისმოყვარე ირანელებს ინგლისური ენა არ ესმოდათ, მანქანის ქვეშ სულელურად რომ არ ეძრომიალათ, დაცვა მათ დაჭედილი ბათინკებით ელაპარაკებოდა.

გამომშვიდობებისას სტალინმა ირანის შაჰი თავის სარკეებიან სასახლეში მოინახულა. სასახლეს ირგვლივ ორი მეტრი სიმაღლის გალავანი ჰქონდა. ბელადისა და ჩვენი ქვეყნის პატივისცემის ნიშნად, შაჰმა სტალინს ისეთი საჩუქარი მიართვა, ორლოვმა და ტუკოვმა ძლივს მიიტანეს მანქანამდე.

ვიდრე კონფერენციაზე მსოფლიო საკითხები წყდებოდა, მე და ბელეხოვმა სარკეებიან სასახლესთან ახლოს ჰარამხანა აღმოვაჩინეთ და მაშინვე „დალევა" მოგვინდა. ამ მომიზეზებით, როგორც იქნა, შევაღწიეთ ერთ უჰაერო, დახუთულ ბარაკში. უფრო სწორად, ერთ დაბინძურებულ ოთახში, სადაც სხვადასხვა ასაკის და სილამაზის ქალები შეყუჟულიყვნენ. ზოგიერთები მოწყენილები დაბორიალობდნენ, ზოგიერთები მუშაობდნენ, ზოგიერთები იწვნენ, ზოგიერთებს ზედამხედველები შოლტებით ურტყამდნენ. ერთი ასეთი მოქნეული შოლტი კინაღამ ჩვენც მოგვხვდა ვიღაც გრძელწვერიანი კაცისგან, რომელმაც გვითხრა, ახლავე დაგვეტოვებინა მისი უდიდებულესობა შაჰის სამფლობელო... საბრალო, უბედური მზეთუნახავები... ნეტავის რა ეშმაკად შურდათ ამ უბედური ქალებისა?!

კონფერენციის შემდეგ სტალინი სტალინგრადში გაემგზავრა. დაათვალიერა დანგრეული ქალაქი, პაულისის შტაბი, ნახა ქუჩებში გორებად დაყრილი გერმანელების ჩაჩქნები და ამოიოხრა:

— ეჰ, საცოდავი დამპყრობლები... ამ ჩაჩქნებში ხომ ადამიანის თავები იყო... ამ ქალაქს კი უფრო ლამაზს ავაშენებთ, ხალხთან ერთად ყველაფერს გავაკეთებთ...

გავიარეთ დანგრეული სახლის დერეფანში გერმანული ტექნიკის შტაბელებს შორის, რომ უცებ მთავარსარდლის მანქანა იმ შემხვედრ მანქანას მოხვდა, რომლის მძღოლად ქალი აღმოჩნდა. სტალინის დანახვაზე ქალი შეშინებული ატირდა, მაგრამ სტალინმა დაამშვიდა:

— ნუ ტირით, ჩვენი მანქანა ჯავშნიანია, თქვენ მანქანას კი შევაკეთებთ.

უცებ საიდანღაც მილიცია მოვარდა.

— ქალს ხმა არ გასცეთ, ხელი არ ახლოთ, ის არაფერ შუაშია, — დაიცვა ქალი სტალინმა.

და გზა განვაგრძეთ... სახლისკენ.



სტალინი, ირანის შაჰი (ცენტრში), მოლოტოვი თეირანის კონფერენციაზე. 1943 წ.

## სტალინი და ოქროს ვარსკვლავი

**როგორც** ცნობილია, თავდადებული შრომისთვის პირველ ხუთწლედში სტალინს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და ოქროს ვარსკვლავს ის სრულიად დამსახურებულად თვლიდა, ამაყობდა. მისი როლი გერმანიაზე გამარჯვებაში აშკარა იყო და პოლიტბიურომ გადაწყვიტა, გაეხარებინა უმაღლესი მთავარსარდალი — მიენიჭებინა მისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. სტალინმა ეს ტუკოვისგან გაიგო და აღშფოთდა:

— სასახლის მლიქვნელები!... ასეთი დიდი ჯილდო მხოლოდ იმათ ეკუთვნით, ვინც ფრონტზე იბრძოდა, იმათ, ვინც ბრძოლის ველზე გმირობა გამოიჩინა. მე ხომ მხარზე თოფგადაკიდებულს არასოდეს მივლია, გმირობა არასოდეს ჩამიდენია!

ამ სიურპრიზის შემდეგ მთავრობა დაფიქრდა, ჯილდო როგორ გადაეცათ. ბოლოს ეს მალენკოვმა ითავა, მაგრამ... მოხდა ისე, რომ ჯილდო პოსკრებიშევს გადაეცა... პოსკრებიშევმა რომ წარმოიდგინა, როგორ შეიძლებოდა სტალინი ამის გამო გაცხარებულიყო, ეს საქმე, თავის მხრივ, აგარაკის კომენდანტს — ორლოვს გადაულოცა.

სტალინმა ისევ თავისებურად შეიკურთხა.

გამარჯვების პარადის წინ გადაწყვიტეს, სტალინისთვის გენერალისიმუსის ახალი ფორმა შეეკერათ და ამით ესიამოვნებინათ. შეკერეს ფორმის სამი ნიმუში. ფრონტის ზურგის უფროსმა ხრულევმა გამოაწყო სამი ათლეტური აგებულების ახალგაზრდა და ცენტრალური კომიტეტის მისაღებში დააყენა. სტალინი კაბინეტიდან გამოვიდა, შეხედა წითელი ატლასის სარჩულიან შემოსაცმელს, მოოქროვილ ღილებს, აქსელბარდებს და იკითხა:

— ეს ფარშევანგები ვინ არიან?

— ამხანაგო სტალინ, ეს გენერალისიმუსის ფორმის სამი ნიმუშია, რომელიც მოგეწონებათ აირჩიეთ, — მოახსენა ხრულევმა.

სტალინმა ისინი ყველანი გაყარა და გამარჯვების პარადი თავის ჩვეულებრივ სამუშაო ფორმაში ჩაცმულმა მიიღო.



* * *

**ტრიბუნაზე** ავიდა, სტუმრებს მიესალმა, მიკროფონზე თითი დააკაკუნა და კავშირგაბმულობის უფროსს — პოტოპოვს ჰკითხა:

— გადაეცემა რადიოთი მთელ მსოფლიოს?

— დიახ, ამხანაგო სტალინ, მთელ მსოფლიოს!

— დაე, ისმინონ ცეცხლთან თამაშის მოყვარულებმა...

ნებაზე მიშვებული სასულიერო ორკესტრის საზეიმო, მგზნებარე, აღმაფრთოვანებელი მუსიკა, ვფიქრობ, მაშინ მთელმა მსოფლიომ მოისმინა.

## პოტსდამის კონფერენცია

**1945 წლის** 19 აპრილს სტალინი ბერლინში, პოტსდამის კონფერენციაზე ჩავიდა. ეფიმოვმა და ორლოვმა რეზიდენცია საუკეთესო მოვარაყებული ავეჯით გააწყვეს, მაგრამ სტალინმა მოითხოვა, ყველაფერი ზედმეტი ოთახიდან გაეტანათ. სამი დღის შემდეგ კონფერენციაზე მოულოდნელად შესვენება გამოცხადდა, რისი მიზეზიც იყო ის, რომ ჩერჩილმა არჩევნები წააგო, ახალ პრემიერ-მინისტრ ეტლის კი ჩამოსვლა ჯერ არ შეეძლო.

სტალინმა ჩერჩილის გამოსამშვიდობებელი კონცერტი გამართა. კონცერტში საუკეთესო მსახიობებმა მიიღეს მონაწილეობა. სტალინი კონცერტის წამყვანი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ შემსრულებლებთან გამოლაპარაკებისას ძალიან თავაზიანი იყო, ყველა მაინც ძალიან ღელავდა, ისინი რომ დაემშვიდებინა, ჩუმად უთხრა, რომ ტყუილად განიცდიდნენ, რომ ესენი ყველანი უბრალო მოყვარულები იყვნენ მუსიკის, რამაც არტისტებს რწმენა და ხალისი შემატა. ბახს, მოცარტს, ჩაიკოვსკის მთელი გულით და სულით ასრულებდნენ, ძალას და ენერგიას არ ზოგავდნენ.

უცებ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ. სტალინმა ითხოვა რუსული ხალხური და საბჭოთა ხალხების სიმღერები შეესრულებინათ, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ამისთვის მზად არც ერთი მომღერალი არ იყო. მდგომარეობა გ. ბარინოვამ იხსნა, დაჯდა გაბედულად როიალთან და ამღერდა. იმღერა ცნობილი „ფრონტისპირა ტყეში", „მიწური" და კიდევ რამდენიმე სხვა სიმღერა. სტალინი დიდხანს იდგა როიალთან დაფიქრებული, მერე ვარდების დიდებული თაიგული მიართვა გ. ბარინოვას და ამით დამთავრდა ბაბელსბერგის დაუვიწყარი კონცერტი გამთენიისას.

## სტალინის უზრუნველყოფა სურსათით

**სოფლის** მეურნეობის აღდგენაზე სტალინი ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე ზრუნავდა. თუმცა, არა მხოლოდ იქ, სადაც ოკუპანტებმა ყველაფერი გაანადგურეს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქვეყნის პრობლემებით იყო დაკავებული, არც ის რჩებოდა უყურადღებოდ, რაც მის გვერდით ხდებოდა.

ყველაფერი იმ პატარა ბატკნით დაიწყო, რომელიც წიწიბურასთან ერთად მოართვეს „სემიონოვსკში".

— საიდან გააჩინეთ ეს ბატკანი?! — დაგულისყურდა სტალინი.

— აფხაზეთიდან ჩამოიყვანეს თვითმფრინავით, — აღიარა გულუბრყვილოდ სოლავიოვმა.

— რა? თვითმფრინავს წყლით მართავდნენ?!

სოლოვიოვი თავის მართლებას მოჰყვა, მაგრამ სტალინმა დაბეჯითებით განაცხადა:

— ნუ ძუნწობთ. ნურავის ნურაფერს სთხოვთ, ყველაფერი თქვენ თვითონ მოაგვარეთ.

აგარაკის ტერიტორიის გვერდით, ოცი ჰექტარი, დამხმარე მეურნეობამ დაიკავა. იქაურობას ძროხები, ქათმები, გოჭები და ბატები მოეფინნენ. სტალინმა იცოდა, რა რაოდენობის ცილა და კალორია იყო თითოეულ პროდუქტში. ამ მხრივ განსაკუთრებით ცხენ-ირმის ხორცს აფასებდა და იმ ტერიტორიაზე ყოველთვის ხუთი-ექვსი ცხენ-ირემი ძოვდა კიდეც. ბაღ-ბოსტანს თუ არ ჩავთვლით, სათბურებში ბოსტნეული მთელი წელი მოჰყავდათ. ბაღში მწიფდებოდა ქლიავი, ალუბალი, მოცხარი, იკრიფებოდა ვაშლი, მეურნეობას ყურადღებას აქცევდნენ და აკვირდებოდნენ ტიმირიაზევის აკადემიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ლებედევა და მისი დამხმარეები — პამფილოვი და კუზინი.

წარმოიშვა იდეა, გოგრა და საზამთრო შეეჯვარებინათ. ყველაფერი თითქოს წარმატებით მიედინებოდა და ბოლოს ნაყოფი იმხელა გაიზარდა, მშიერი კაცი ადგილიდან ვერ დაძრავდა. სტალინმა ითხოვა, ენახათ, ამისგან რა გამოვიდა, რა შედეგი გამოიღო. სოლოვოვმა პატარა ნაჭერი ჩამოჭრა, გემო გაუსინჯა და დაიღრიჯა, — ნაყოფი საშინლად უგემური იყო.

სტალინმა გაიღიმა:

— რას იტყვით, როგორია?

— ისე, არა უშავს რა.

— მაშინ. აბა, მაჩვენეთ, — სტალინმა ცოტა გაღეჭა და გადმოაფურთხა.

— რამდენიც უნდა პრანჭო, გოგრა გოგრად დარჩება, — თქვა და ისევ გაიღიმა.

**(გაგრძელება იქნება)**

დასაწყისი იხ. № 65-79, 83, 86

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე




# თბილისის გარეუბანში მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების, ბრიტანეთისა და საქართველოს მასშტაბური სამხედრო სწავლება

**თბილისის გარეუბანში დაიწყო დიდი სამხედრო სწავლება Noble Partner 2016, რომელშიც მოქმედებენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს არმიების ქვედანაყოფები.** რესპუბლიკის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ძალისხმევა განამტკიცებს სამი ქვეყნის სამხედროების „საბრძოლო ძმობას“ და დაეხმარება საქართველოს, მალე შევიდეს ნატოში. ამ დროს ქართველი დიპლომატები წინააღმდეგობას უწევენ მოსკოვიდან გაჟღერებულ ბრალდებას იმის შესახებ, რომ „ნატოს სამხედროები შეგნებულად ამწვავებენ ამიერკავკასიის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას“.

ერთობლივ სწავლებაში მონაწილეობისათვის საქართველოში ზღვით ბულგარეთიდან შემოიტანეს ამერიკის შეერთებული შტატების სახმელეთო ძალების რვა ძირითადი საბრძოლო ტანკი MIA2, შვიდი BMP M2 Bradley რამდენიმე ჰაუბიცი M119 და დაახლოებით 15 სამხედრო ყველგანმავალი. ამ საბრძოლო ტექნიკის ფონზე თბილისის გარეუბანში სამხედრო აეროდრომზე მწყობრში ჩადგა 650 ამერიკელი, 500 ქართველი და 150 ბრიტანელი სამხედრო. საზეიმო ცერემონიის დასაწყისში შეასრულეს 3 ქვეყნის ჰიმნები. შემდეგ მანევრების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს იმ მეომრების ხსოვნას, რომლებიც ავღანეთში სამშვიდობო ოპერაციის დროს დაიღუპნენ.

საქართველოს პრეზიდენტმა ცერემონიაზე ინგლისურად გამოსვლის დროს ამერიკელებსა და ბრიტანელებს უწოდა „ძმები იარაღთან დაკავშირებით“. **„ეს სწავლება ადასტურებს, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ და საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, — ვერ ფარავდა თავის ოპტიმიზმს უმაღლესი მთავარსარდალი. — ჩვენ ვართ იმის მომხრე, რომ მეტი ნატო იყოს საქართველოში და მეტი საქართველო — ნატოში“.**

თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა Noble Partner 2016 -ს უწოდა „ყველაზე საინტერესო ფურცელი“ სამი ქვეყნის ისტორიაში, ყურადღება გაამახვილა „შესანიშნავ დამთხვევაზე“. **„ჩვენი სამი სახელმწიფოს ჰიმნები ერთდროულად გაისმოდა ორ კონტინენტზე“,** — დაუმატა მან. **„ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს სამხედრო-სპორტული თამაშები, რომლებზეც ქართველმა სამხედროებმა მიაღწიეს ბრწყინვალე შედეგებს“,** — განმარტა ქალბატონმა ხიდაშელმა.

თავდაცვითი უწყების ხელმძღვანელმა ასევე გამოთქვა რწმენა, რომ საქართველო, მიუხედავად მისი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციისა რუსეთის მიერ, „აუცილებლად გახდება ნატოს წევრი“, — „ისევე, როგორც ალიანსის წევრი გახდა გაყოფილი გერმანია“. ადრე, როდესაც უპასუხებდა ექსპერტების სკეპტიკურ შენიშვნებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის ნაკლები ალბათობის შესახებ ქვეყნისა, რომელიც თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს არ აკონტროლებდა, თინა ხიდაშელი არაერთგზის მიუთითებდა გერმანიის „პრეცენდენტზე“. რომელიც 1955 წელს გახდა ნატოს წევრი, როდესაც ბონი ჯერ კიდევ არ აღიარებდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

სწავლების პირველ დღეს ბრიტანელმა სამხედროებმა დესანტირება ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მოახდინეს თვითმფრინავიდან C-130. ამ თვითმფრინავებიდან პარაშუტებით ჩამოყარეს სამხედრო ტექნიკის ნაწილი. შემდეგ სამი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეებმა მოაწყვეს შენობის შტურმი, რომელიც, ლეგენდის მიხედვით, დაკავებული ჰქონდათ ტერორისტებს. **„სწავლების მთავარი მიზანი — ესაა ქართული კონტინგენტის მომზადება ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში მონაწილეობისათვის“,** — უამბო ჩვენს გაზეთს თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ.

ამ დროს თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილემ ნიკოლას ბერლინერმა განმარტა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის საბრძოლო ტექნიკისა და საბრძოლო კონტინგენტის გადმოსროლის მთავარი მიზანი კავკასიაში.

**„ჩვენ შევამოწმეთ, თუ რამდენად სწრაფად შეიძლება გავაძლიეროთ რეგიონის უშიშროება“,** — აღნიშნა ამერიკელმა დიპლომატმა.

სწავლებამ, რომელიც 26 მაისამდე გაგრძელდება, უკვე გამოიწვია ნეგატიური რეაქცია მოსკოვის მხრიდან. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ „ნატოს სამხედროები თანმიმდევრულად ითვისებენ საქართველოს ტერიტორიას“ და „შეგნებულად ამწვავებენ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას ამიერკავკასიის რეგიონში“. საქართველოს დიპლომატიურ უწყებაში ამას უპასუხეს: **„საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელსაც თავად აქვს უფლება, აირჩიოს სამხედრო პარტნიორები და მოაწყოს თავის ტერიტორიაზე ნებისმიერი სწავლება“.**

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



### „ნორმანდიულმა ოთხეულმა“ ვერ შეძლო, შეთანხმებულიყვნენ დონბასში სიტუაციის მოწესრიგების საკითხებზე

მხარეთა საერთო აზრით, მინსკის პროცესი ჩიხში შევიდა. მხარეებმა ვერ შეძლეს, შეთანხმებულიყვნენ საკვანძო საკითხზე დონბასში არჩევნების მოწყობის ვადების შესახებ. სერგეი ლავროვის სიტყვებით, კიევმა წამოაყენა ახალი პირობები მინსკის შეთანხმებათა გვერდის ავლით. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ არ ღებულობენ კანონმდებლობის რუსეთის მიერ მომზადებულ ვარიანტს.

### ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი დაკავშირებული იყო საოფშორო ფირმასთან, რომელიც ციმბირში ოქროს მოპოვებით „ერთობოდა“...

ჟურნალისტების მონაცემებით, ავსტრალიის მთავრობის მეთაურის სახელი არის კომპანია Star Technology Services Ltd -ის დირექტორებისა და მდივნების რეესტრში. ორგანიზაციის საქმეებს აწარმოებდა სკანდალურად ცნობილი პანამის ერთ-ერთი ფირმა. პრემიერის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მალკოლმ ტერნბულმა ამის შესახებ არ იცოდა.

### ბრაზილიის სენატი მხარს უჭერს პრეზიდენტ რუსეფის იმპიჩმენტს

სხდომის დროს 41-მა სენატორმა 81-დან განაცხადა, რომ განზრახული აქვს, ხმა მისცეს ქვეყნის ლიდერის უფლებამოსილებათა შეჩერებას. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, როგორც ელოდებიან, სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი გახდება ბრაზილიის ვიცე-პრეზიდენტი მიშელ ტემერი. პოლიტიკოსი რუსეთის მოვალეობას შეასრულებს სასამართლო განხილვის დროს, რომელიც შეიძლება ნახევარ წლამდე გაგრძელდეს.



### რუმინეთში აპირებენ, დაადასტურონ მზადყოფნა ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემასთან მუშაობისათვის

ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებენ რუმინეთის პრემიერი, ნატოს გენერალური მდივანი და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. სისტემა Aegis წარმოადგენს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ამერიკული ელემენტის ევროპული კომპონენტის განვითარების მეორე ეტაპს. სახელმწიფო დეპარტამენტში უკვე განაცხადეს, რომ ევროპაში განთავსებული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას არ შეუძლია დაარღვიოს რუსეთის ფედერაციის პოტენციალი.

### ტრამპი გაუთანაბრდა კლინტონს...

წინა გამოკითხვები უჩვენებდნენ, რომ კლინტონი დაბეჯითებით უსწრებს ტრამპს პირდაპირ დაპირისპირებაში. მაგრამ სწორედ ერთი კვირით ადრე მას შემდეგ, რაც ტრამპის მოწინააღმდეგეებმა მოხსნეს თავი რბოლიდან, მან შეძლო, სერიოზულად განემტკიცებინა პოზიციები. კლინტონის უპირატესობა შემცირდა ერთ პროცენტამდე 19 განუსაზღვრელი პროცენტის დროს, აჩვენა გამოკვლევამ.

### აშშ-ში წარმატებით გამოსცადეს „ვაკუუმური მატარებლის“ ძრავა

გამოცდა მოეწყო ჩრდილოეთი ამერიკის ქალაქ ლასვეგასის უდაბნოში, ძრავამ გაფანტა პლატფორმა, რომელზეც შემდეგში უნდა დააყენონ კაფსული. ტესტირებამ აჩვენა, რომ გადაადგილების ასეთი ხერხის კონცეფციის რეალიზება შეიძლება მოხდეს პრაქტიკაში, განაცხადეს მისმა შემქმნელებმა.



◉ უმადურობა, თანაც ასეთი?!

# ვინ ჩქმალავს, ვის აღიზიანებს ნოდარ ახალკაცის სახელი?

## თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს


ვიცოდეთ ღირსეულის დაფასება
№72. ოთხშაბათი, 22 აპრილი, 2015 წელი.
◉ გვწერენ
ნოდარ ახალკაცი ჩვენი ახალგაზრდობისთვის მუდამ სამაგალითო, მისაბაძ ეროვნულ ახალ კაცად დარჩება!

დიდი ქართველი მწვრთნელი და საზოგადო მოღვაწე, მრავალი ფეხბურთელის აღმზრდელი ანდრო ჟორდანია ამბობდა: დღენიადაგ უნდა ვიზრუნოთ ქართული ფეხბურთის გასაძლიერებლად და ყოველთვის გვახსოვდეს, რომ სპორტი ერის ღონეა, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიაა, რომელიც ითვალისწინებს ქართველი ხალხის ეროვნულ ტრადიციებს.

ეს მართლაც ასეა. სპორტი ხომ განათლების, კულტურის, ხელოვნების გამორჩეულად პოპულარული დარგია...

მკითხველი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ყურადღებას ითხოვს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ქალბატონ თამარ სანიკიძის სახელზე 2015 წლის 27 მარტს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ალექსანდრე ჩივაძის და 1981 წლის 13 მაისის ევროპის თასების თასის მომპოვებელი რაინდი ბიჭების ხელმოწერით გაიგზავნა სპეციალური განცხადება, რომელშიც ალექსანდრე ჩივაძესთან ერთად, გამოჩენილი ფეხბურთელები — სერგო კუტივაძე, ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, თამაზ კოსტავა, გია თავაძე, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელიას მეუღლე მარინე მამალაძე, ნუკრი კაკილაშვილი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანის ძმა გოგი ყიფიანი, რამაზ შენგელიას მეუღლე ლია ბაბუნაშვილი, ვაჟა ჟვანია, კარლო მჭედლიძე, გიორგი ჭილაია, აგრეთვე 1964 წლის ჩემპიონი „ოქროს ბიჭები" — ვლადიმერ ბარქაია, ილია დათუნაშვილი, გიორგი სიჭინავა, მურთაზ ხურცილავა თავაზიანად სთხოვენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ქალბა-

ნამოს" მწვრთნელს, რომელმაც ჩემპიონთა თასი აიღო, კიევის მერიამ შუა ქალაქში ძეგლი დაუდგა. აქ უნდა ვახსენო ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, ფეხბურთზე მრავალი წიგნის ავტორი, სპორტის დამსახურებული მუშაკი დემიკო ლოლაძე, რომლის ძალისხმევით (ბატონ დავით ონოფრიშვილის დიდი მხარდაჭერით) ყოფილი „ლოკომოტივის" სტადიონს ლეგენდარული მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი ეწოდა. ჩვენმა მერიამ და საკრებულომ კი ერთი კარგი ქუჩის სახელი ვერ გაიმეტეს ნოდარ ახალკაცისთვის.

დიღმის მასივში ამ გამოჩენილი კაცის სახელი, გიგი უგულავას დროს, ერთ ციდა ქუჩას (ასი მეტრი სიგრძეც არ ექნება) დაარქვეს. ეს ხომ სამარცხვინოა! არადა, ქალაქში უამრავი ქუჩაა, რომლებიც არ აკმაყოფილებს დღევანდელობის მოთხოვნებს: აბანოს ქუჩა, სამღებროს ქუჩა, ტყეკულტურის ქუჩა, მაუდის ქუჩა და ა. შ. ნოდარ ახალკაცისთვის კი, რომელიც სწავლობდა ნაძალადევის რაიონში, გიორგი სააკაძის ქუჩაზე, მაშინ რუსულ სკოლაში, ახლა მე-9 ქართული საჯარო სკოლა რომ ჰქვია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, პირადად მინისტრმა, ქალბატონმა თამარ სანიკიძემ ისიც ვერ გაბედა, რომ ასეთი სახელგანთქმული ვეტერანი ფეხბურთელების და მათი ოჯახის წევრების თხოვნა დაეკმაყოფილებინა.

ამ განცხადების პასუხი სამინისტროს მხრიდან (წერილს ხელს აწერს მინისტრის მოადგილე ლია გიგაური), ასე-

მიღებული წარსულის ჩასაქოლად და გასაბითურებლად?

მეც ვეტერანი გულშემატკივარი გახლავართ, ფეხბურთზე ორი წიგნის ავტორი (1. ქართველი ფეხბურთელები საბჭოთა კავშირის ნაკრებში, 2. თბილისის „დინამო" მსოფლიო სტადიონებზე). დღესაც ფეხბურთით ვცოცხლობ, დღე არ გავა, რომ არ ვნახო ჩვენი სასიქადულო ფეხბურთელები...

ნოდარ ახალკაცის სახელის მშობლიური სკოლისთვის მინიჭებას ნამდვილად არ სჭირდება მისი გარდაცვალებიდან 20 წლის გასვლა.

**დღეს, 13 მაისს ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვების — ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის დიუსელდორფული ფინალის 35 წლისთავი სრულდება, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი „გამომჭედავი" სამამულო სპორტის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი ნოდარ ახალკაცია.**

ამ დიდებული მწვრთნელის გარდაცვალებიდან უკვე 19 წელი გავიდა, მისი ნათელი ხსოვნისადმი ღირსეული პატივის მიგებას კი საშველი არა და არ დაადგა. ამის თაობაზე ჩვენი გაზეთი ჯერ კიდევ შარშან (22.04. №72) წერდა მას შემდეგ, რაც რედაქციაში აღშფოთებული ძველი თაობის ცნობილი ჟურნალისტი ბატონი ირაკლი (იბო) დოლიძე გვესტუმრა, რომელმაც ნოდარ ახალკაცის მშობლიური თბილისის მე-9 საჯარო სკოლისთვის ლეგენდარული მწვრთნელის სახელის მინიჭების წინადადება წამოაყენა, შესაბამისი განცხადებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაც მიმართა, თუმცა კი იქიდან ლოგიკას სრულიად მოკლებული, შეიძლება ითქვას, უგუნური პასუხი მიიღო. მისი, ასე ვთქვათ, ავტორი (ყოველ შემთხვევაში ხელს იგი აწერს) მინისტრის მოადგილე ლია გიგაურია, რომელიც სკოლისთვის ნ. ახალკაცის სახელის მინიჭებაზე სამინისტროს უარს ასე ასაბუთებს: „ქართული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი სკოლას შეიძლება ეწოდოს გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ".

ბატონ ნოდარ ახალკაცის გარდაცვალებიდან კი „მხოლოდ" 19 წელი გავიდა. განა ბევრი მისნაირი მწვრთნელი გვყავს ქართულ სპორტში, რომელსაც მსგავსი წარმატება მოეპოვებინოს და მთელი ერი ისე გაეხარებინოს, როგორც მან შეძლო?!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, ბატონო გიორგი, რომ მხარი დაუჭიროთ საქართველოს დიდად დამსახურებულ ვეტერანებს და გამონაკლისის სახით ნოდარ ახალკაცის სახელი მის მშობლიურ სკოლას უახლოეს მომავალში მიანიჭოთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ დიდი ფეხბურთელი

# ისტორიას მეოცნებენი ქმნიან

**საბჭოთა ფეხბურთის ქართული ფრთები!**

**ასეთი, მართლაც რომ ფრთიანი სათაური მისცა ცნობილმა ფრანგმა საფეხბურთო მიმომხილველმა თავის საინტერესო სტატიას.**

**ფეხბურთს კი არა, ქართული ფრთები მთელ საბჭოთა კავშირს რაღაც განუმეორებელ პეწსა და კოლორიტს აძლევდა სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კულტურული, შემოქმედებითი, სპორტული თუ ნებისმიერი სხვა დარგის ცხოვრებაში.**

საბჭოთა კავშირი, ეს ბოროტების იმპერია, ხალხთა საპყრობილე, ის შავი ხვრელი იყო, რომელიც მზად იყო თავის უბინძურეს სტომაქში შთაენთქა ყველა და ყველაფერი, ოღონდ კი ბინძური იმპერიული ზრახვები დაეკმაყოფილებინა. საქართველო კი იმპერიის ბრილიანტად მიაჩნდა, ქართველების გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინა, რადგანაც კარგად ჰქონდა გასიგრძეგანებული, რომ ქართველთა ლაღი, არტისტული ბუნება, მათი ელვარე და კაშკაშა ჩოჩიშვილს, მართლაც ბიბლიური დავითივით რომ ერკინებოდა იმდროინდელი მსოფლიოს გოლიათებს.

აქ უნდა შევწყვიტო ჩამოთვლა, რადგან ასე ძალიან შორს წავალ და ვეღარ გავჩერდები.

საბჭოთა ფეხბურთის ქართული ფრთებიო.

ერთი მათგანი მიხეილ მესხი გახლდათ, მეორე კი — სლავა მეტრეველი, ორივენი არამარტო ევროპაში, სამხრეთ ამერიკაშიც სახტად ტოვებდნენ ბევრის მნახველ გულშემატკივრებს.

სლავა მეტრეველი!

სოჭში დაბადებული დიდოსტატი ქართული ფეხბურთისა, თავისი არსებობით რწმენასა და სიამაყის გრძნობას რომ უბრუნებდა ქართველობას. სწორედ მისი დამსახურებაცაა, რომ თბილისის „დინამომ" აჯობა საბჭოთა იმპერიას და პირველობა მოიპოვა იმ ჩემპიონატში, სადაც ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს არავინ არაფერს ეკითხებოდა და საპრიზო ადგილების ბედს იმპერიის პოლიტბიუროს გადაღრძუებული „გენსეკები" წყვეტდნენ.



ნიჭიერება საკუთარი ულიმლამო, ღვარძლითა და ბოროტებით სავსე მჭვარტლიანი სულის გასაკეთილშობილებლად სჭირდებოდა.

როგორც ზემოთ ვახსენე, ასე იყო თითქმის ყველა სფეროში და, მათ შორის, სპორტშიც.

ყველაზე არისტოკრატულ სახეობაში — ჩოგბურთში, სადაც ერთმანეთს უნდა ერწყმოდეს ძალა და გონება, უსწრაფესი გადაწყვეტილების მიღების უნარი, რაც ინტელექტის ერთ-ერთი უპირველესი ნიშანია, საბჭოთა კავშირის, 250 მილიონიანი იმპერიის, ნაკრები ორად ორი კაცისაგან შედგებოდა და თუ ხვდებით, ვინ იყვნენ ისინი?

რა თქმა უნდა, ქართველები — ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია.

ჭადრაკში, ყველაზე ბრძნულ თამაშში, რაც კი ადამიანის გონებას გამოუგონია, ათეული წლების განმავლობაში დედოფლის ტიტულს არავის უთმობდნენ ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე.

ველოსპორტში, დავაზუსტებ, სპრინტში, რომელიც სპორტის ამ სახეობის გვირგვინს წარმოადგენს, სსრკ-ს ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონი ჰყავდა, ქართველი ომარ ფხაკაძე...

იაპონიაში, ძიუდოს სამშობლოში, იაპონელები საკუთარ შვილებს შოთას არქმევდნენ. რატომ? იმიტომ, რომ შოთა ერქვა 20 წლის ქართველ ძიუდოისტ

სლავა მეტრეველმა ოდისევსის სიბრძნე შესძინა თბილისის „დინამოს". ვისაც მისი თამაში უნახავს, კარგად ეხსომება, რა კატა-თაგვობანას ეთამაშებოდა მეტოქეთა მცველებს, რომლებიც გაოგნებულნი და მონუსხულნი ამ ფილიგრანული ტექნიკის მქონე დიდი ფეხბურთელის ნიჭიერებით, ვერც კი წარმოიდგენდნენ თუ შესაძლებელი იყო ფეხბურთის ასე თამაში. მის დამტვრევასაც კი ვერ ახერხებდნენ თუ ვერ ბედავდნენ. რა საოცრად გრძნობდა საგოლე სიტუაციებს, რომელიღაც მეათე ალღოთი ახერხებდა ყოფილიყო იქ, საიდანაც ბურთის გატანა შესაძლებელი იყო. თამაშობდა იქ, სადაც გუნდს სჭირდებოდა და ერთ მშვენიერ დღეს სწორუპოვარი მარჯვენა გარემარბი ცენტრალურ თავდამსხმელად მოგვევლინა და იქაც ძველებურად აგრძელებდა მოწინააღმდეგის დაწიოკებას.

ერთადერთი, რაზეც მწყდება გული, ის გახლავთ, რომ საქართველომ ვერ უპატრონა თავის დიდ შვილსა და ღირსეულ პიროვნებას ისე, როგორც ეს მის ღვაწლს ეკადრებოდა.

დარწმუნებული ვარ, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაიწერება ქართული ფეხბურთის დიდი ისტორია და ამ ფოლიანტში ოქროს ასოებით ჩაიწერება სახელი და გვარი — სლავა მეტრეველი.

**ზაალ ბოტკოველი**

◉ კალათბურთი

# „დინამო" მეტოქეს ელის

**დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჩემპიონი თბილისის „დინამო" ზედიზედ მესამედ გავიდა სუპერლიგის ფინალში.**

ირაკლი ხოშტარიას, არჩილ ჟღენტისა და მამუკა ტურაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა პლეიოფში 3:1 სძლია „ბათუმს", დასკვნით რაუნდში მის




მომავალ მეტოქეს კი რეგულარული სეზონის გამარჯვებული „ქუთაისისა" და „სოხუმის" მეხუთე შეხვედრა გამოავლენს, რომელიც ხვალ იმერეთში გაიმართება. მათ სერიაში ანგარიში ჯერჯერობით თანაბარია — 2:2.

**„დინამო" — „ბათუმი" 78:75**

მასპინძელთა კაპიტან ლონდარიძეს ნეკნი გაუბზარეს და პარტნიორებს ჯერჯერობით ვერ ეხმარება, ძირითად ცენტრ შარაბიძეს კი ცხვირი აქვს გატეხილი და თამაშში დამცავი ნიღბით ჩაება.

წესით და რიგით, ასეთ ვითარებაში ზღვისპირელთა გიგანტი დვალიშვილი ფარქვეშ ბრძოლაში უნდა გალაღებულიყო, მაგრამ იგი ამ ეტაპზე შორსაა ოპტიმალური კონდიციებიდან, ამიტომ მატჩის ბედი უკანახაზელთა და სნაიპერთა დუელმა გადაწყვიტა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მათ დაპირისპირებაში ობიექტურად უფრო ძლიერმა „თეთრლურჯებმა" მაკალპინმა, გოგოძემ, კოვაჩევიჩმა და ბერიშვილმა პირწმინდად დაჯაბნეს მიქელაძე, რამიშვილი და ლეჟავა, სტუმართა ლეგიონერების კრივცოვისა და სტეპანიშინის გააქტიურება კი დაგვიანებული აღმოჩნდა.

**„სოხუმი" — „ქუთაისი" 82:77**

დევნილთა კლუბმა საწადელს წინა დღის ანტიგმირის სმიტის ძალისხმევით მიაღწია, რომელმაც 11-დან 8(!) სამქულიანი ჩააგდო.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ინტერნეტიდან

# ვალენტინა ძამბროტა და ნაბუქოდონოსორ მეორე



**ბაბილონის მკერდმოყვარულ მეფეს ნაბუქოდონოსორ მეორეს ვალენტინა ძამბროტას „ბელეტაჟი" რომ ენახა, შესაძლებელია მსოფლიოს ისტორია სხვანაირად განვითარებულიყო და იმ ჩვენი ცოდვით სავსე ნაბუქოდონოსორს ათასი უაზრო გასართობის ნაცვლად გასართობად ამ დიდებული ქალბატონის ძუძუები აერჩია.**

სამწუხაროდ, საუკუნეებს უკან ვერ დავაბრუნებთ და დღეს ვალენტინა ძამბროტა ოდენ ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელის ჯანლუკა ძამბროტას ცოლია, თუმცა, ენა ვერ მოგვიბრუნდება და ამ ქალს ცხოვრებით უკმაყოფილებას ვერ დავაბრალებთ. პირიქით — დღენიადაგ იმას ამბობს, მე რაც ტკბობანი მინახავს, სიამეები ეგეთი უნდაო. აბა, ქართველი კი არა ვარ, პოლიტიკოსების გაფეტიშებით რომ გავერთოო.

ჯანლუკა ძამბროტა ამჟამად ნაკლებად ცნობილი იტალიური კლუბის „კიასოს" მწვრთნელია და მის სამწვრთნელო გარიჟრაჟზე თუკი ვინმე იმედებს ამყარებს, ეს პირველ რიგში სწორედ მკერდალმაფრთოვანებელი ვალენტინაა, მაგრამ გუნდს რომ სახელად „კიასო" ჰქვია, იმის წარმატების როგორ უნდა გჯეროდეს — ეგეც საინტერესოა...

**როსტომ რაჭველიშვილი**

## ◎ კინეზოთერაპიას — მწვანე გზა!

# ჯანმრთელობისა და შრომის უნარის აღდგენის ეფექტური მეთოდი



**კინეზოთერაპია ავადმყოფის მოძრაობით, ანუ ფიზიკური დატვირთვით (ვარჯიშით), მკურნალობას გულისხმობს და უმრავლეს შემთხვევაში, დაავადების მწვავე პერიოდის გასვლის შემდეგ (რეანიმაცია და ინტენსიური თერაპია რომ დამთავრდება) ავადმყოფთა უმრავლეს ნაწილს აღდგენითი მკურნალობის — ფიზიკური რეაბილიტაციის მიზნით უნდა უტარდებოდეს.**

კინეზოთერაპია ავადმყოფს მკურნალობისა და პროფილაქტიკის დროს უტარდება აქტიური და პასიური ვარჯიშების სახით. აქტიური ვარჯიში სრულდება ავადმყოფის მიერ (უიარაღოდ ან იარაღით — ტრენაჟორებით), ხოლო პასიურ ვარჯიშებს მიეკუთვნება მასაჟი, სხეულისა და მისი ნაწილების სხვადასხვა დაჭიმვები და სხვ. ყველა სახის კინეზოთერაპიის პროცედურების ჩატარების დროს, მთელ ორგანიზმში მის ცალკეულ სისტემებსა და სხეულის ნაწილებში უმჯობესდება, როგორც მოძრაობა ისე ნივთიერებათა ცვლა, რის საფუძველზე ავადმყოფი დროულად გამოჯანმრთელდება და ა.შ.

ცნობილია, რომ ძირითადად ავადმყოფის მკურნალობა და რიგ შემთხვევებში, პრევენცია სამედიცინო პრაქტიკაში მედიკამენტოზური თერაპიითა და ქირურგიული ჩარევით ხორციელდება. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ავადმყოფის მწვავე ან დეკომპენსაციის მდგომარეობიდან გამოყვანის შემდეგ მას აუცილებელი წესით უნდა ჩაუტარდეს აღდგენითი მკურნალობა-რეაბილიტაცია, რაც ძირითადად რეაბილიტაციის ფიზიკური და, რასაკვირველია, ფსიქოლოგიური მეთოდებით ტარდება, ხშირად კომპლექსურად მედიკამენტოზურ თერაპიასთან ერთად. აღსანიშნავია ისიც, რომ ავადმყოფის ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია ხელს უწყობს კინეზოთერაპიის დადებით მოქმედებას და პირიქით.

ჯერ კიდევ მედიცინის მამამთავარი ექიმი ჰიპოკრატე აღნიშნავდა, რომ „იმას რასაც მედიკამენტი ვერ კურნავს, ის რკინით (ანუ ოპერაციით) განიკურნება, რასაც რკინა ვერ კურნავს, იმას განკურნავს მზე, ხოლო ის რასაც მზე ვერ განკურნავს განუკურნავი რჩება". რასაკვირველია, უკვე დიდი ხანია, მედიცინაში ასე არ მსჯელობენ, მაგრამ ყველა იმ ფიზიკური ფაქტორის მოქმედების (ჰაერი, მზის სხივები, წყალი, მოძრაობა-ვარჯიში), შედეგად ადამიანის ორგანიზმში ხდება ფიზიოლოგიური პროცესების გააქტივება — სითბოს განვითარება-აღდგენა-გაუმჯობესება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სადღეისოდ ფიზიკური რეაბილიტაციის დისციპლინებში თანამედროვე დონეზე წარმოებს სწავლება სრულიად დამოუკიდებელ დეპარტამენტებში: კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი — პროფესორი ნ. კაკულია), სამკურნალო ტურიზმის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი — პროფესორი ნ. საკაშვილი), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეაბილიტაციური მიმართულების ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგიის და ბიოქიმიის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი — პროფესორი მ. რუხაძე), სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი — პროფესორი ნ. ჭაბაშვილი). ეს დეპარტამენტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ, მაგრამ აკეთებენ ერთ საერთო საქმეს, ასწავლიან და ამზადებენ ავადმყოფთა ჯანმრთელობის აღდგენისა და მათთვის შრომის უნარის დაბრუნების სპეციალისტებს.

თუ გულახდილები ვიქნებით, უნდა ვთქვათ, რომ სადღეისოდ ჩვენთან ფიზიკური რეაბილიტაცია ყველა ზემოაღნიშნული მეთოდებით ავადმყოფთა უმრავლესობას არ უტარდება, რაც, პირველ რიგში, ეკონომიკურ ფაქტორთანაა დაკავშირებული. უკიდურესად აუცილებელ პირობებში ავადმყოფებს უტარებენ ფიზიოთერაპიას, მაგრამ კინეზოთერაპია და სამკურნალო ტურიზმი ბევრად უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს, ვიდრე დღეს ხდება, ვინაიდან ავადმყოფისთვის შრომის უნარის მეტნაკლებად აღდგენა კინეზოთერაპიითა და კურორტული ფაქტორების კომპლექსური მოქმედებით, ყველაზე ეფექტურია.

კინეზოთერაპიის მეთოდებით მკურნალობის ძირითადი უარყოფითი ჩვენებაა: სხეულის ტემპერატურის მომატება, კანის ზოგიერთი დაავადებები, სამოძრაო აპარატის, გულსისხლძარღვთა, სასუნთქი და სხვა სისტემების მწვავე დარღვევების... მოძრაობა-ვარჯიში, მასაჟი და სხვ. ავადმყოფებს მწვავე დეკომპენსაციის მდგომარეობიდან და პოსტოპერაციული პერიოდიდან გამოსვლის შემთხვევაში უნდა უტარდებოდეთ აუცილებელი წესით, სამწუხაროდ, მკურნალობის ეს სახეობა, ჩვენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, მასობრივად, როგორც ეს ადრე ხდებოდა, დღეს აღარ ხორციელდება.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ავდმყოფთა ფიზიკური რეაბილიტაცია, განსაკუთრებით კინეზოთერაპია, ხშირად ხანგრძლივი დროით მკურნალობას მოითხოვს, ზოგი დაავადების დროს ავადმყოფს აღდგენითი მკურნალობის ეს მეთოდი მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა უტარდებოდეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ (ერთი ან ორი თვე), ავადმყოფები ისე ეუფლებიან ვარჯიშებს და ეჩვევიან მათთვის საჭირო მოძრაობის რეჟიმს, რომ მერე აღარ სჭირდებათ კინეზოთერაპევტის, მეთოდისტის, ანუ ფიზიატრისტის ხშირი კონსულტაციები, ვინაიდან თვითონ ძალიან კარგად ითვისებენ ამ პროცედურას და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში მიმართავენ სპეციალისტს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა არ არის დაინტერესებული, რომ უშუალოდ ექიმი კინეზოთერაპევტები კვლავ მომზადდნენ.

კინეზოთერაპიის წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ საავადმყოფოში (კლინიკაში) აღდგენითი მკურნალობის ამ პროცესს სათავეში უშუალოდ ექიმი კინეზოთერაპევტი ედგება, რომელიც ფიზიატრისტების და მასაჟისტების მუშაობას უხელმძღვანელებს, როგორც კინეზოთერაპიის განყოფილების ან კაბინეტის გამგე.

ყოვლად დაუშვებელი იყო წინა მთავრობის გადაწყვეტილება ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დახურვის თაობაზე. ამ ინსტიტუტმა წლების განმავლობაში ჩვენ ქვეყანას მოუმზადა მრავალი შესანიშნავი სპეციალისტი, როგორც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისე, სამკურნალო ფიზკულტურის დარგში. მართალია, სადღეისოდ ეს საქმე გამოსწორდა, უკვე ფუნქციონირებს ახალი სახელწოდებით — სპორტის უნივერსიტეტი, მაგრამ დიდი დრო დაიკარგა, რამაც უდავოდ უარყოფითად იმოქმედა ამ დარგების სპეციალისტების მომზადებაზე.

საქართველოში ფიზიკური რეაბილიტაციის, კერძოდ, კინეზოთერაპიის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ სპეციალისტების მომზადება, რომლებიც სწავლების ოთხწლიან კურსს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე გადიან.

მე, უხუცესი სპეციალისტი ვთვლი, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მაგრამ სისტემატურად უნდა იზრუნოს, რათა კინეზოთერაპიამ დაიწყოს უფრო თვალსაჩინოდ განვითარება. თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ, კინეზოთერაპია ჩვენს უნივერსიტეტში ბევრად უფრო ფართოდ უნდა ისწავლებოდეს მედიცინის ფაკულტეტზე და თანდათან უკეთესად უნდა დამკვიდრდეს სამკურნალო დაწესებულებების კომპლექსურ მკურნალობაში. უნდა ვიმედოვნოთ, რომ მოვა დრო და კინეზოთერაპიის მეთოდი თავის საპატიო ადგილს დაიკავებს საქართველოს თანამედროვე კლინიკურ მედიცინაში.

**რომანოზ სვანიშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი**



მეუღლე ნუგზარ ფიფია, შვილი ირაკლი, რძალი ბელენ ბულნესი, ძმა გია გაბუნია, ძმისწული თამარ გაბუნია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მანანა გაბუნია**

**პანაშვიდი 14, 15, 16 V, განსვენებულის ბინაში, მის: ჭაბუკიანის (ყოფილი საბურთალოს) №7, გამოსვენება საბურთალოს ამაღლების სახ. ეკლესიდან. 17 V, 15 სთ.**

## უკანონოდ გვირაბის გაყვანა, მექრთამე ჩინოსანი და... ჰეი, ვის ელის კიდევ სასჯელი?!

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის მიცემის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე ამირან შ. დააკავეს.**

**ამირან შ-მ ორგანიზება გაუკეთა ქ. ზესტაფონში, აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული ერთ-ერთი მაღაზიის სარდაფიდან გვირაბის კუსტარულად გაყვანას,**



**მიწის ქვეშ არსებული სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების- ე.წ. „წიდის" უკანონოდ მოპოვებისა და შემდგომში მისი რეალიზებით უკანონო შემოსავლის მიღების მიზნით.**

**ხსენებული მაღაზიის იატაკიდან დაახლოებით 2 მეტრის სიღრმეზე და ასეულობით მეტრ სიგრძეზე გაყვანილია კუსტარული გვირაბი, საიდანაც ე.წ. „წიდის" უკანონო მოპოვება ხდებოდა.**

**აღნიშნულ უკანონო საქმიანობაზე მფარველობის სანაცვლოდ ამირან შ. დაუკავშირდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროს სპეციალისტს, რომელსაც ქრთამის სახით პირველ ეტაპზე 700 ლარი, ხოლო სამუშაოების წარმატებით გაგრძელების შემთხვევაში სხვადასხვა თანხის პერიოდულად გადახდა შესთავაზა.**

**ამირან შ-მ საჯარო მოხელეს ქრთამის სახით შეპირებული თანხა — 700 ლარი გადასცა, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.**

**გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.**

**ამასთან, გამოძიება გრძელდება ე.წ. „წიდის" უკანონო მოპოვებით გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენისა და დანაშაულში შესაძლო სხვა დამნაშავე პირების გამოვლენის მიზნით.**

**განცხადება**

სს „ელექტრონიკა-94"-ი 2016 წლის 10 ივნისს 15 საათზე, კ. გამსახურდიას №14-ში ატარებს აქციონერთა საერთო კრებას.

დღის წესრიგი:

2014 წლის 31 დეკემბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე სამეურნეო ანგარიში.

მომხსენებელი: მთავარი ბუღალტერი გ. ჩიქოვანი.

**რეკლამა**

**293-37-87**
**599 79-76-79**

**მაჩაბლის ქ. №7.**

## ევროსაბჭო გიგი უგულავას პატიმრობაზე მუდმივ მონიტორინგს აწესებს?

**თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს მხრიდან მუდმივი მონიტორინგი განხორციელდება, — ამის შესახებ ევროსაბჭოდან მიღებულ წერილს საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" წევრი სევდია უგრეხელიძე ავრცელებს.**

**მისი თქმით, წერილში აღნიშნულია, რომ ევროსაბჭოს მონიტორინგისა და კონგრესის რეპორტიორების მხრიდან მუდმივად მოხდება გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხოვა უწყებებიდან.**



**გიგანტური პანდა ანუ ბამბუკის დათვი თავის ბელს ეთამაშება, რომელიც ჩინეთის პროვინციის სიჩუანის ამ ულამაზესი ცხოველების მოშენების ცენტრში დაიბადა.**

# სურათზე შემორჩენილი ახალგაზრდობა



კომპოზიტორები – შოთა მილორავა, გიორგი ცაბაძე, ალექსანდრე შავერზაშვილი და ვაჟა აზარაშვილი. ბორჯომი. კომპოზიტორთა სახლი. 1986 წლის ივლისი.

# თბილისს ახალი ავტობუსები შეემატება

ქ.ლონდონში, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში საქართველოს მხრიდან მმართველმა ნოდარ ხადურმა და EBRD-ის პრეზიდენტმა სერ სუმა ჩაკრაბარტიმ საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ხელი მოაწერეს სასესხო და საგრანტო შეთანხმებებს, რომლის საფუძველზეც „თბილისის ავტობუსების პროექტისთვის" ბანკი 27 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსურ დახმარებას, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ენერგო ეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდი გრანტის სახით 7 მილიონ ევროს გამოყოფს.

შეთანხმებებით გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ახალი, ეკოლოგიურად ეფექტური, გაზზე მომუშავე 150-200 ავტობუსის შეძენა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ავტობუსები ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**მათრახი**

## ნიანგის ცრემლები

რა გაუძლებს ამდენ ქლესას,
შაყირად რომ გლოვობს ხესა
და არ ესმის პრესის კვნესა,
უჭეროდ რომ რჩება დღესაც.
საქმე არც მთლად იმაშია,
ამას შია, იმას შია!
ვკითხოთ ნაცს და მის ნაშიერს,
ვის წართმეულ ბინაშია?
რად დაუხშეს, ვისი ხოშით,
გაზეთებს გზა „სამშობლოში"?
პასუხისთვის მელიასა
სხვაგან წასვლას ელის არსად,
„სამშობლოს" წინ მოჩანს დღესაც,
ჩვენი პრესა ვინ დაპრესა!
და ფუჭი სვლით თოხარიკა
მოვიყვანოთ ბარემ ნიკა,
რადგანაც სჯობს ცრემლს იქ ღვრიდეს,
სადაც ჭერი გაგვიყიდეს!

## რომელია?

ეს კითხვა რომ დაიბადა,
მას შემდეგ და მის მერეა,
ნიკაა თუ ნიკანდროა
გარს რომ უვლის სხვის მერიას.
13 ივნისს ზოო-რისხვას
რომ გადურჩა, რომელია,
ზოოპარკში რომ დაბრუნდა,
თუ ვინც გარეთ მძრომელია?

## შეკითხვა „ქოცებს"

რამ ჩაგიგდოთ ენა „ქოცებს"?
ყრუ-მუნჯობით ნუ დაგვხოცეთ!
არც გაშფოთებთ, არც გაოცებთ
ჭუჭყი, რაც თქვენ შეგახოცეს?
სხვა რომ არა, რად არ იძევთ,
ლარს რად ჰკლავდა ქადაგიძე?!

**ალექსანდრე შენგელია,**
ქუთაისიდან.

რეკლამა
293-37-87
599 79-76-79
მაჩაბლის ქ. №7.

# გეშინოდეთ სატანისტი ნანუკასი!..

„ცრუსთავი-2"-ის ბოლო, 11 მაისის ნანუკას შოუს მსვლელობის დროს, სოციალურ ქსელ ფეისბუქში სტატუსი დავწერე: **ისეთი ფორსირებული პროპაგანდისტული შეტევა, რასაც ნაციონალური მოძრაობა, „ცრუსთავი-2"-ის საშუალებით ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ახორციელებს, გებელსსაც არ დაესიზმრებოდა. ნანუკა ჟორჟოლიანის „უწყინარ", სოციალურ „შოუში" პირველ სიუჟეტად ე.წ. სატანისტი ბავშვების შესახებ გაკეთებული სიუჟეტი აჩვენეს. პირველი სიუჟეტისგან დაძაბულ მაყურებელს, მეორე ბლოკში სიცილ-სიცილით ე.წ. „ფენ-შუის" „სპეციალისტმა" „აუხსნა", რომ იმ „ცნობილი ხის" გადარგვა წინასწარგანზრახული, 40 საუკუნოვანი ჩინური რიტუალია და მხოლოდ მის პირად კეთილდღეობას ემსახურება (ცხადია, ნანუკა ჟორჟოლიანის არაადეკვატური ხარხარის, თვალების ტრიალისა და იდიოტური კომენტარების თანხლებით).**

**ამით ნეიროლინგვისტური ზემოქმედებით მაყურებლის ქვეცნობიერში ამ პანდორას ყუთის არამზადებმა პირველი სიუჟეტიდან წამოსული უარყოფითი მუხტი გადაიტანეს ბიძინა ივანიშვილზე (სატანიზმი, ცხოველების სისხლი, არამართლმადიდებლური ფენ-შუი, ხის გადარგვა).**

**შემდეგ მიადგნენ ბოტანიკურ ბაღს. ახსენეს ტეტჩერი, ფრანგი პრინცესა, ნიკო კეცხოველი, გალაკტიონი და გადავიდნენ სოციალურად დაუცველ, ჯანმრთელობაშერყეულ ადამიანზე, რომელიც ვარჯიშის დროს შორიდან ხედავს „ნაუშნიკებიან", უამრავი დაცვის თანხლებით მოსეირნე ბიძინა ივანიშვილს...**

სტატუსს საკმაოდ ბევრი კომენტარი მოჰყვა, რომელთა ავტორების პათოსი იყო „ბატონ ბიძინას ვერაფერს დააკლებენ", „ყველამ ვიცით, რაც არის „ცრუსთავი-2" დ.ა.შ.

მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო: ბატონ ბიძინა ივანიშვილს სულ „ცალ ფეხზე ჰკიდია", თუ რას იტყვის მასზე ვინმე „ნანუკა" და საზოგადოების გარკვეულ ნაწილს საკმაოდ მკაფიო შეფასება აქვს ე.წ. ტელეკომპანია „ცრუსთავი-2"-ის მიმართ, მაგრამ ის ნეიროლინგვისტური ზემოქმედება, რომელსაც ამ კომპანიის „შოუები" ახდენენ საქართველოს მოსახლეობაზე, თავის უარყოფით შედეგს უეჭველად გამოიღებს.



ამაზე კი, პირველ რიგში, იმ „პოლიტიკოსებმა" უნდა იფიქრონ, რომლებიც სირაქლემას პოზაში დგანან და „ივანიშვილს რაღაც აქვს ჩაფიქრებული"-ს იმედზე არიან.

მეტი აქტიურობა და პრინციპულობაა საჭირო ოცნებელებო, თორემ შეღონდა, დაიზაფრა ხალხი!

**გია გაბრიჭიძე**

## ცინცხალი ანეკდოტები

**მეზობელი** მანდილოსანი მეზობელ მამაკაცს ეპატიჟება:

— მესტუმრე საღამოთი, ჩაითა და ნამცხვრით გაგიმასპინძლდები!

— დიდი სიამოვნებით!

— იცი, „სიამოვნებაზე" ცალკე ლაპარაკი გვექნება, ხოლო „დიდს" რაც შეეხება, ამას საქმე გვიჩვენებს!..

* * *

— **ჩემ** კატას რწყილები ჰყავს. რა ვქნა, როგორ მოვაშორო ისინი?

— რას გეტყვი, იცი, ჩემო კარგო? ჩვენ ჭეშმარიტი დემოკრატიის პირობებში ვცხოვრობთ, ამიტომაც არჩევანის თავისუფლებას პატივი უნდა ვცეთ! შენ კატა გყავს, კატამ რწყილები გაიჩინა! ამის სრული უფლება აქვს!

**ავტომანქანების** გასაჩერებელ საუკეთესო ადგილებს დედაქალაქში ევაკუატორები და „სითი პარკის" კონტროლიორები ყარაულობენ.

* * *

**ადამიანი**, როგორც წესი, იმის ქონაზე ოცნებობს, რაც არ გააჩნია, მაგრამ როგორც კი ნატვრა უსრულდება, სიყვარულიც ნელდება.

შენიშვნა: ფულთან მიმართებაში ეს კანონი არ მოქმედებს.

* * *



**ქალი**: წარმოიდგინე, ძვირფასო — მე და შენ ცივი შხაპის ქვეშ ვდგავართ ჩახუტებულები, ერთმანეთის სუნთქვას ვგრძნობთ და ორივენი...

**კაცი**: ვკაჟდებით!

**გამოიწერეთ:**

**6 თვით — 60 ლარი,**
**1 წლით — 120 ლარი.**

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე" – 2143906; „ელვასერვისი" – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე" – 2 988 990; „პრესა-2012" – 2341140; „ოლიმპი" – 599 15 19 69; „პრესა+" – 551555444; „ჯეომედია" – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.215; ევრო - 2.545;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.208;
100 რუბლი - 3.343; თურქული ლირა - 0.772;
აზერბაიჯანული მანათი - 1.473;
1000 სომხური დრამი - 5.628

**ამინდი 13 მაისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +8, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +21 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +10, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +5, | დღე +21 |
| თბილისი: | ღამე +11, | დღე +23 |

**ჩვენი მისამართია:**
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE